გაზეთი ზღვრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

60 თეთრი №103 (1129) 16 – 18 ოქტომბერი, 2015 წელი

რას მოუტანს საქართველოს აბრეშუმის გზის ფორუმი

გვ. 7

სკანდალური ინტერვიუ

ქიბარ ხალვაში სააკაშვილთან, ადეიშვილთან, კეზერაშვილთან, მერაბიშვილსა და არველაძესთან კონსპირაციული შეხვედრების დეტალებს ასაჯაროებს

გვ. 4–6

„ჩემი გამარჯვება იქნება გარანტია, რომ „რუსთავი 2" დაიბრუნებს საზოგადოების პატივისცემას"

სად და რატომ შეხვდა ერეკლე კოდუა უკრაინელ ოლიგარქ იგორ კოლომოისკის?

რაზე ისაუბრეს სოდ-ის ყოფილმა უფროსმა და მილიარდერმა კოლომოისკიმ, რომელიც სააკაშვილს მკბენარა ძაღლს" უწოდებს

გვ. 3

ექსკლუზიური ვერსია

წინასაარჩევნო ბრძოლა ცესკო-სთვის ანუ „ოცნების“ პოლიტიკური „ჩარ იაქე“

ხელისუფლება საოლქო კომისიებს პარტაქტივით აკომპლექტებს?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების „საოცნებო“ სამზადისი დაეტყო. საერთოდ, ცესკო ედუარდ შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, სახელისუფლო ვერტიკალის გაგრძელებად ითვლება და ამას თითქოს აღარც ვაპროტესტებთ, თუმცა დღეს ცესკო-ს ხელში ჩაგდება ისეთი კანონიერი და უმტკივნეულოა, სააკაშვილსაც შეშურდებოდა — „ოცნების“ ხელისუფლება ყველაფერს სასათბურე პირობებში იფორმებს და იმიტომ კი არა, რომ კანონი ან რეგლამენტი გადააკეთა, ან ძალიან ჭკვიანებითაა დაკომპლექტებული, უბრალოდ, მთავარ ოპონენტ ნაციონალურ მოძრაობას ხმა არ ამოეღება, რადგან ეს საარჩევნო მემკვიდრეობა „ოცნებას“ თავად დაუტოვა და თუ ხმას ამოიღებს და ბევრს იყვირებს, ჯერ ერთი, უპასუხებენ, ამ სისტემით 9 წელი თქვენც ხომ ბედნიერად ისარგებლეთო და მეორეც, ნაციონალების პროტესტი ისევე სასაცილო იქნება, როგორც მათ მიერ მაჟორიტარების არჩევნების გაუქმება.

ცესკო-ს „აოცნებების“ პროცესი დიდი ხანია დაწყებულია და ცოტა ხანში, ფინიშთანაც მივა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია 13 წევრისგან შედგება. აქედან 7 პარტიები ირჩევენ და თავიანთ წარმომადგენლად ნიშნავენ, 6 კი, წესით, ზეპარტიული უნდა იყოს, მაგრამ რადგან უწესო ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეს 6 წევრი ზეპარტიული არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა პრეზიდენტი სამართლიანობის მანტიით ინიღბება და ზეპარტიული წევრობის კანდიდატურებს პარლამენტს სწორედ ის წარუდგენს. გამოდის,

> **ცესკო-ს ამ ზეპარტიულ წევრებს „ოცნების“ პრეზიდენტი „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობას ამტკიცებინებს და ეს არცთუ სამართლიანია. ჯერ ერთი, „დიდმა ოპოზიციონერმა“ გიორგი მარგველაშვილმა, არასამთავრობოების რჩევით, ერთ-ერთ ზეპარტიულ კანდიდატად პარლამენტს დასამტკიცებლად „მრეწველი“ ზურაბ ტყემალაძის რძლის ძმა, გიორგი ჯავახიშვილი წარუდგინა. როგორც ცესკო-სა და ზოგადად, პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, ცესკო-ს რეალური თავმჯდომარე სწორედ ისაა, რომელსაც ამჟამად ცესკო-ს მდივნის სტატუსი აქვს, ყველა გადაწყვეტილებას იღებს და თამარ ჟვანიასთან სრულ თანხვედრაშია.**

ამ დროისთვის, ცესკო-ში „ოცნებას“, ოფიციალურად, 4 პარტიული წარმომადგენელი ჰყავს, მის გარდა კიდევ სამ ოპოზიციურ პარტიას ჰყავს თითო წევრი: თავისუფალ დემოკრატებს, ნაციონალურ მოძრაობას და დემოკრატიულ მოძრაობას. ალბათ, ალასანიასა და ბურჯანაძისთვის არახალია, რომ მათი ორი კაცი „ოცნების“ რიგებში ეწერება და ხან შანტაჟით, ხანაც ვაჭრობით, სახელისუფლო გადაწყვეტილებებს იღებს. ზემოხსენებული 6 ზეპარტიული კაცი ხომ ისედაც პროსახელისუფლოა, ამიტომ ხშირად, „საწყალი“ ნაციონალი განზე რჩება და გადაწყვეტილებას 12 ერთის წინააღმდეგ წარმატებით იღებს. არადა, ოცნებაასრულებული ყოფილი ოპოზიცია თავის დროზე მედიასა და ამომრჩეველს არწმუნებდა, თუ ოდესმე ხელისუფლებაში მეღირსა მოსვლა, პირველ რიგში, სწორედ პარტიულ კვოტებს გავაუქმებ და ცესკო-ს 13-ვე წევრი ზეპარტიული იქნებაო. მიშას ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა ეღირსა და ახლა 13-დან 12 ხმა ჯიბეში უდევს. ასე მოაგვარა „ოცნებამ“ საქმე ზედა რგოლში, სადაც მისი ნდობით აღჭურვილი პირი, ოფიციალური წარმომადგენელი და, როგორც ამბობენ, პარტიასა და ცესკო-ს ხელმძღვანელობას შორის შუაკაცი ღევან მაისურაძეა და ბოლოდროინდელი აჟიოტაჟი, რომ ცესკო-ს „ოცნება“ სრულად აკომპლექტებს, სწორედ მას უკავშირდება. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცესკო-ში 300 მოხელე ერთდროულად იცვლება. რა ხდება სინამდვილეში: რაიონების უმეტესობაში, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებსა და წევრებს უფლებამოსილების ვადა ეწურებათ და, როგორც ამბობენ, პირდაპირი მითითება არსებობს, ამ ხალხს კონტრაქტები აღარ გაუგრძელდეს. ერთი სიტყვით, ძველი „სტაფი“ მიდის, ახალს კი „ოცნება“ აკომპლექტებს. ის, რომ ცესკო-ს მოხელეებს ვადა გასდით, სრულიად ნორმალური და ჩვეულებრივი პროცესია, არანორმალური ისაა, რომ თავისუფალ ადგილებს საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ხელისუფლების პარტიული აქტივით აკომპლექტებს.

არცთუ იშვიათია ნეპოტიზმის შემთხვევაც. ღოგორც „ვერსიამ“ გაარკვია, ამ კუთხით „სტოსი“ ჯავახიშვილ-მაისურაძეს მიჰყავთ, თამარ ჟვანიას კი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია. აქ იმაზე არაა ლაპარაკი, რომ ასეთი რამ ნაციონალების დროს არ ხდებოდა, მაგრამ მაშინ ამაზე დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციის რიგებიდან შფოთავდა, დღეს კი ივანიშვილისგან დაგმობილ ოპოზიციას არავინ უსმენს. ხელისუფლება რომ აკომპლექტებს საარჩევნო ადმინისტრაციას და ამით არჩევნებზე მანიპულირების საშუალება ეძლევა, ეს ცოტა ხანში საარჩევნო საოლქო შემადგენლობასაც დაეტყობა.

> **ვადა გასდით ოლქების წევრებსა და თავმჯდომარეებს. ეს პროცესი ამ წლის ოქტომბერში დაიწყო და გაისად, მარტში დასრულდება. სულ 73 საარჩევნო ოლქი გვაქვს, საოლქო კომისიაში კი 5 წევრია — თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი და ორი წევრი. ყველა თავისუფალ ადგილს „ოცნება“ პირდაპირ ან ირიბად თუ დააკომპლექტებს, მაშინ ცესკო-ში 2016 წლის არჩევნების წინ, 365 წევრი ეყოლება. ხელისუფლების პოლიტიკური მადის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 300-ზე ნაკლებს არ დასჯერდება და ალბათ, სწორედ აქედან მოდის ხმა, რომ ცესკო-ში გაისად ერთდროულად, , თურმე, 300 მოხელე იცვლება.**

შესაბამისად, „ოცნებას“ ვადამდელი არჩევნები მარტის ბოლომდე არ უნდა აწყობდეს. ნაციონალებმა, ცხადია, ყველაფერი მშვენივრად იციან და კვარტალში ერთხელ ამიტომაც დარბიან ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით — თუ ვითარების დაძაბვა და კრიზისის გამოწვევა სურთ, ეს ამ შემოდგომა-ზამთრის სეზონზე უნდა მოასწრონ, რადგან გაზაფხულზე „ოცნებას“ ცესკო გაცილებით მეტი დამაჯერებლობით ეყოლება ჯიბეში. ასე სრულდება „ოცნების“ მიერ საშუალო რგოლის ანუ საოლქო დონეზე ცესკო-ს დაკომპლექტების ისტორია. მესამე და ყველაზე დიდი ქვედა რგოლი საუბნო საარჩევნო კომისიაა. ქვედა რგოლი კი ყოველთვის მისია, ვისაც მეტი ფული აქვს ანუ უფრო ხშირად ხელისუფლების. ცესკო არჩევნების ადმინისტრაციული ორგანოა, თორემ რეალურად, არჩევნებს საუბნო საარჩევნო კომისიები ატარებენ და იგებენ კიდეც. საუბნო საარჩევნო კომისიას აქვს პირდაპირი შეხება როგორც ამომრჩეველთან, ისე ბიულეტენთან. საუბნო კომისიას ჰყავს თავისი თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი და 10 წევრი. ეს სამი მთავარი მოხელე ხომ ისედაც „ოცნებისაა“, ამ 10-დან 6 „ოცნებას“ წესითა და კანონით ეკუთვნის და ახლა, ამ 4-დან, თავის ნაციონალიან-დემოკრატიანად რამდენს გადაიბირებს, ღმერთმა იცის. ეს ადამიანები არჩევნების დღემდეც და ამ დღესაც იმის მხარეს დაიჭერენ, ვინც მეტ გარანტიასა და ანაზღაურებას მისცემს. ეს დასაძრახი ნამდვილად არ არის — ყველა თავის სამუშაოს ასრულებს და სჭირდება გარანტია, რომ მისი შრომა სათანადოდ დაფასდება. ამიტომ იმის შანსი უფრო დიდია, ჯიბეგაქუცულმა ოპოზიციამ ამუშაოს და „გადააგდოს“, ვიდრე ხელისუფლებამ. ნაციონალებს ფული კი აქვთ, მაგრამ ფინანსური აღმავლობის ხანაში ნამდვილად არ არიან. ასე რომ, გამარჯვებული აქაც „ოცნებაა“. იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, რომელ პარტიას რამდენი დაქირავებული დამკვირვებელი ეყოლება, რომელიც ამ პარტიის თითოეულ ხმას დაიცავს. ესეც წმინდა ფინანსური რესურსის საკითხია. ერთი სიტყვით, თუკი ხალხი ხუმრობით იხსენებს, 2012 წელს ნაციონალების მოსყიდული დამკვირვებლები უბნებზე „ბეშ, ბეშ“-ს ყვიროდნენო, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ 2016 წელს მრავალხმიან „ჩარ იაქეს“ მოვისმენთ.

უჩა ნანუაშვილი აგვისტოს ომის დროს და მის შემდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას მიესალმება

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის, ფატუ ბენსუდას მიერ აღნიშნულ ფაქტებზე გამოძიების დაწყების სურვილთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც უჩა ნანუაშვილი განმარტავს, რომ ეს ხელს შეუწყობს სიმართლის დადგენას, მსხვერპლთა უფლებების აღდგენას და კონფლიქტის მხარეებსა და დაზარალებულ მოსახლეობას შორის სამშვიდობო პროცესების დაჩქარებას.

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ 2015 წლის 13 ოქტომბერს მიმართა სასამართლოს წინასწარი წარმოების პირველ პალატას და მოითხოვა ნებართვა საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოსაძიებლად. გამოძიება 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. პალატა შეაფასებს, არის თუ არა გონივრული საფუძველი გამოძიების გასაგრძელებლად. წინასწარი გამოძიება პროკურორის ოფისმა 2008 წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

პროკურორმა მიმართა დაზარალებულ პირებს და მათ სამართლებრივ წარმომადგენლებს და აცნობა, რომ მათ 30 დღის ვადაში აქვთ შესაძლებლობა, სასამართლოს წერილობითი ფორმით წარუდგინონ მოსაზრება, საჭიროა თუ არა გამოძიების დაწყება. მიმართვაში ასევე ნათქვამია, რომ გამოძიების დაწყების შემთხვევაში, დაზარალებულებს ექნებათ შესაძლებლობა, სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები და მისი დასრულების შემდეგ ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ.

საქართველოს სახალხო დამცველი თავის 2013-2014 წლების საპარლამენტო ანგარიშებში წერდა 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და რეკომენდაციით მიმართავდა საქართველოს მთავარ პროკურორს „ეფექტურად და შემჭიდროებულ ვადებში“ წარემართა ამ დანაშაულებზე, მათ შორის, პირთა უგზო-უკვლოდ გაუჩინარების საქმეებზე გამოძიება.

წინასწარი წარმოების პირველი პალატის თანხმობის შემთხვევაში, პროკურატურა 2008 წლის ომის კონტექსტში შემდეგ სავარაუდო დანაშაულებს გამოიძიებს: ეთნიკურად ქართველი სამოქალაქო პირების მკვლელობა, იძულებითი გადაადგილება და დევნა, მათი ქონების ძარცვა და განადგურება სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ, რუსეთის ფედერაციის ძალების სავარაუდო მონაწილეობით; ასევე, „სამხრეთ ოსეთის“ შეიარაღებული ძალების მიერ ქართულ სამშვიდობო ძალებზე მიზანმიმართული თავდასხმა და ქართული შეიარაღებული ძალების მიერ რუსულ სამშვიდობო ძალებზე მიზანმიმართული თავდასხმა. გამოძიება ასევე დაინტერესდება ისეთი დანაშაულებით, როგორებიცაა განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმები სამოქალაქო ობიექტებზე ქართული და რუსული შეიარაღებული ძალების მიერ და სქესობრივი და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები, მათ შორის, გაუპატიურება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზანი არ არის ყველა დამნაშავე პირის გასამართლება, არამედ სასამართლო მიმართავს ძალისხმევას იმ პირების გასამართლებისათვის, რომლებსაც დანაშაულის ჩადენაში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. სასამართლოს შეუძლია გამოსცეს დაკავების ორდერი, რათა უზრუნველყოს ბრალდებული პირის სასამართლოზე გამოცხადება. სასამართლოს ასევე შეუძლია პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, მსჯავრდებულს პატიმრობა შეუფარდოს. რადგან სასამართლოს საკუთარი საპოლიციო ძალები არ ჰყავს, ის დამოკიდებულია წევრი ქვეყნების თანამშრომლობაზე. სასამართლოსთან თანამშრომლობა მათი სამართლებრივი ვალდებულებაა. სწორედ წევრ ქვეყნებზე იქნება დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა უარს იტყვის სასამართლოსთვის ბრალდებული ან მსჯავრდებული პირის გადაცემაზე.

სასამართლო ასევე დამოკიდებულია ქვეყნების თანამშრომლობაზე მტკიცებულების მოპოვების დროს. 2008 წლის მოვლენების გამოძიებისას პროკურატურისთვის მნიშვნელოვანი იქნება, მათ შორის, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლა, რაც სასამართლოსთვის შესაძლოა გამოწვევას წარმოადგენდეს“, — ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

სად და რაზომ შეხვდა ერეკლე კოდუა უკრაინელ ოლიგარქ იგორ კოლომოისკის?

ელელა ჩაჩავა,
სპეციალურად „ვერსიისთვის“ ჟენევიდან

„ვერსიის“ ინფორმაციით, უკრაინის ყველაზე გავლენიანი ოლიგარქი, მილიარდერი იგორ კოლომოისკი და სოდ-ის ყოფილი უფროსი, ერეკლე კოდუა შვეიცარიაში, კერძოდ, ძველი ჟენევის ერთ-ერთ კაფეში შეხვდნენ. ამ შეხვედრის შესახებ ერთ-ერთმა ქართველმა ემიგრანტმა გვაცნობა. მისივე ინფორმაციით, კოლომოისკის კიდევ ორი შუახსნის მამაკაცი ახლდა, რომლებიც გვერდით მაგიდასთან ისხდნენ და საუბარში არ ჩართულან.

რაზე ისაუბრეს სოდ-ის ყოფილმა უფროსმა და მილიარდერმა კოლომოისკიმ, რომელიც სააკაშვილს „მკბენარა ძაღლს“ უწოდებს

ჩვენ ვთხოვეთ ინფორმატორს, დეტალურად გაეხსენებინა, სად და როდის მოხდა შეხვედრა და რატომ მიაქცია მათ ყურადღება. მისი თქმით, ერეკლე კოდუასა და კოლომოისკის შეხვედრა დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა:

„თავდაპირველად, კოდუა ვიცანი და ჩემი ყურადღება მან მიიქცია. მერე რომ დავაკვირდი, მოგვიანებით მივხვდი, რომ დნეპროპეტროვსკის ყოფილ გუბერნატორთან ერთად იყო. ისინი სადილობდნენ და მშვიდად საუბრობდნენ ... ეს ჰგავდა მეგობრულ შეხვედრას. დავაკვირდი, რომ კოლომოისკის კიდევ 2 მამაკაცი ახლდა, თუმცა ისინი სხვა მაგიდასთან ისხდნენ... არ ვიცი, ვერც ერთი მათგანი ვერ ვიცანი, მახსოვს, კოლომოისკის ყავისფერი „ზამშეს“ პიჯაკი ეცვა... ეს დამამახსოვრდა. განსაკუთრებული ყურადღებაც არ მიმიქცევია. იქვე, ახლოს ვმუშაობ და შემთხვევით შევესწარი, დაახლოებით, ალბათ, 40 წუთი გაგრძელდა მათი შეხვედრა. მეტს ვერაფერს გეტყვით“, — იხსენებს ქართველი ემიგრანტი.

ამ ფაქტში ყურადღებას არც მივაქცევდი და, როგორც ბევრ სხვა შემთხვევას, არც ამას გავხდიდი საქართველოში საჯაროდ, რომ არა კოლომოისკის ღია და მტრული დამოკიდებულება საქართველოს ექსპრეზიდენტის, შესაბამისად, მისი თანაგუნდელების მიმართ. ახლახან უკრაინულმა მედიამ ინფორმაციაც გაავრცელა, რომ ოლიგარქი სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს. ოდესის ოლქის გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას აქვს საკმარისი მტკიცებულება ოდესის პორტში კონტრაბანდასთან იგორ კოლომოისკის კავშირის შესახებ. ასევე მან აღნიშნა, რომ საქართველოში მისი პრეზიდენტობის პერიოდში კოლომოისკი მისი გუნდის წევრებს ქრთამს სთავაზობდა. მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხს ასევე განუცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი გადაწყვეტილებებს იღებს არა უკრაინელი ხალხის, არამედ ადგილობრივი ოლიგარქების, კერძოდ კი, იგორ კოლომოისკისა და რენატ ახმეტოვის სასარგებლოდ. თავის მხრივ კი, კოლომოისკიმ ბრალდებებზე მწვავე რეაქცია მისცა და განაცხადა, რომ სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს, რადგან **„ეს ძალზე სერიოზული ბრალდებაა“** და მისი დასაბუთება მოუწევს.

დნეპროპეტროვსკის ყოფილმა გუბერნატორმა ოდესის გუბერნატორს, „მკბენარა ძაღლიც“ უწოდა და მისი საქართველოში გაგზავნა და პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა.

„როდესაც უალიკაპო ძაღლი ვიღაცას კბენს, საჭიროა ძაღლის დასჯაც და პატრონისაც“, — აღნიშნა უკრაინელმა ოლიგარქმა და დასძინა, რომ ასეთ ცხოველებს, მსგავს შემთხვევაში, აძინებენ ხოლმე. კოლომოისკის თქმით, მან **„იქ (საქართველოში) დაკბენილი ხალხისთვის პასუხი უნდა აგოს“. „რაც შეეხება პატრონს, ჩვენ გვესმის, ვინ არის ის“,** — განაცხადა ოლიგარქმა. კოლომოისკიმ მიხეილ სააკაშვილი ნარკოტიკების მოხმარებაშიც დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ოდესის გუბერნატორმა თავისი სიტყვებისთვის სასამართლოს გზით ფულით უნდა აგოს პასუხი.

ცოტა უფრო ადრე, კოლომოისკიმ უკვე დააანონსა, სააკაშვილი სულ მალე ოდესას კრემლს ჩააბარებსო და საკუთარ ტელეარხ „1%1“-ზე სააკაშვილის წინააღმდეგ პროპაგანდისტული ფილმიც გაუშვა.

რაც შეეხება ერეკლე კოდუას, როგორც ინტერნეტსივრცეში გავარკვიე, იგი ჟურნალისტებმა ბოლოს ბუდაპეშტის აეროპორტში ნახეს... მის სახელს სულ უფრო იშვიათად ახსენებენ ყოფილი თანაგუნდელები ნაციონალური მოძრაობიდან. შესაბამისად, ადვილად სავარაუდოა, რომ კოდუასა და ექსპრეზიდენტის გუნდს შორის „შავმა კატამ გაირბინა“. ახლა კი, ის ან ახალ კავშირებსა და ძალებს ეძებს ანდა ამ „ძალებმა“ იგი თავად იპოვეს. თუ ეს ასეა, ჟენევაში მილიარდერ იგორ კოლომოისკის კოდუასთან კონფიდენციალური შეხვედრა სწორედ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად შეიძლება მოვიაზროთ.

თავის მხრივ, უკრაინული პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის უცხო არ არის კოლომოისკის ინტერესები. ადგილობრივი მედია ჯერ კიდევ საქართველოს ექსპრეზიდენტის ოდესის გუბერნატორის დანიშვისას წერდა, რომ პოროშენკომ სააკაშვილი მისი უმთავრესი მტრის წინააღმდეგ მგეშავ ნაგაზად გამოიყენა. პოროშენკოს ბრძანებით, უკრაინის პროკურატურამ დაიწყო გამოკვლევა და საქმე აღძრა კოლომოისკის მიერ დაფინანსებული გასამხედროებული ფორმირება „აიდარის“ მებრძოლების წინააღმდეგ. პოროშენკომ ამით კოლომოისკის ღია ომი გამოუცხადა. იგი მის ჩაძირვას ცდილობს.

თავად კოლომოისკი წარმოშობით დნეპროპეტროვსკიდანაა. იგი ამ ოლქის გუბერნატორი იყო, მაგრამ პოროშენკოსთან დაპირისპირების გამო თანამდებობის დატოვება მოუწია. მიუხედავად ამისა, ის ამ ქალაქში დღესაც ძლიერ პოზიციას იკავებს და არა მარტო იქ. მისი ყოფილი ხელქვეითი ოდესის გუბერნატორი იგორ პალიცა სააკაშვილმა შეცვალა. გარდა ამისა კოლომოისკი აფინანსებს და, ფაქტობრივად, მართავს მოხალისეთა რამდენიმე ბატალიონს, „აიდარის“, „დნეპრის“ და „შტურმს“.

კოლომოისკი უკრაინაში უმსხვილესი სამრეწველო-საფინანსო ჯგუფ „პრივარის“ დამფუძნებელია. მას აქვს ბიზნესი და გავლენა საბანკო სექტორში, ნავთობის, მეტალურგიის, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საჰაერო ტრანსპორტის, სპორტისა და მედიის სფეროებში. ის უკრაინის უმდიდრეს ადამიანთა ოფიციალურ რეიტინგებში მეორე ადგილს იკავებს. 2013 წლის მონაცემებით, კოლომოისკის ქონება 3,645 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ვერსიანიუსი

ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი საქართველოში ჩამოვიდა

ფატუ ბენსუდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ვენიდან ჩამოფრინდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, მას აეროპორტში ქართული მხარის წარმომადგენლები დახვდნენ.

ფატუ ბენსუდამ აეროპორტი, ესკორტის თანხლებით, სამთავრობო გასასვლელით, კომენტარის გარეშე დატოვა.

პროკურორი შეხვდება იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებს, არასამთავრობოებს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ადამიანებს.

ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, ფატუ ბენსუდამ მოსამართლეებს საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის გამოძიების დაწყების ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით თხოვნით მიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ავრცელებს.

როგორც სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, პროკურორი ფატუ ბენსუდს საქართველოში 2008 წლის 1 ივლისიდან ამავე წლის 10 ოქტომბრამდე არსებული ვითარებას გამოძიება სურს.

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, ფატუ ბენსუდამ თხოვნით მიმართა მოსამართლეებს, ნება დართონ პროკურორის ოფისს დაიწყოს გამოძიება 2008 წელს საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის დროს ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე. ამ მიზნით პროკურორმა ითხოვა საქართველოში 2008 წლის 1 ივლისიდან ამავე წლის 10 ოქტომბრამდე არსებული სიტუაციის გამოძიება.

2008 წლის აგვისტოდან, მას შემდეგ რაც „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულ რეგიონსა და საქართველოს შორის შეიარაღებული შეტაკებები, რომელშიც ასევე რუსეთის ფედერაცია იყო ჩართული, გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტში, პროკურორის ოფისი ჩაერთო საქართველოს საქმის წინასწარ შესწავლაში“, — ნათქვამია ჰაგის სასამართლოს ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე განმარტებით, პროკურორის აზრით, არსებობს გონივრული საფუძველი, ვირწმუნოთ, რომ აღნიშნული კონფლიქტის კონტექსტში ადგილი ჰქონდა ომის და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, რაშიც იგულისხმება ეთნიკური ქართველების „სამხრეთ ოსეთიდან“ განდევნის კამპანია და მშვიდობისმყოფელებზე ქართველი და ოსი შეიარაღებული ძალების თავდასხმები.

„ინტერპრესნიუსი“

13 ივნისის სტიქიით დაზარალებულ 30 სტუდენტს ერთი წლის სწავლის საფასურს დაუფინანსებენ

ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა.

ირაკლი ლექვინაძე საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების სხდომაზე ვრცელი ანგარიშით წარსდგა. საკრებულოს კომისიების წევრებს მან 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

ირაკლი ლექვინაძის თქმით, ახლახან მიიღეს გადაწყვეტილება და მერიის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდება სტიქიის შედეგად დაზარალებული 30 სტუდენტის ერთი წლის სწავლის საფასური. ლექვინაძის თქმით, ეს თანხა 71 ათასი ლარია და იგი უახლოეს დღეებში სტუდენტებს ჩაერიცხებათ.

ლექვინაძის ანგარიშის თანახმად, სტიქიამ 194 ოჯახი დააზარალა, 20 გარდაიცვალა, 2 პირი კი დღემდე დაკარგულად ითვლება, დაზარალდა 800-ზე მეტი ფიზიკური პირი.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, ზარალი 100 მილიონ ლარზე მეტია. კერძო კომპანიებისა და მოქალაქეების მიერ შემოწირულობის სახით 22 მილიონ ლარზე მეტი შეგროვდა. ამ თანხიდან 16 მილიონი ლარი დაზარალებულების ერთჯერად დახმარებებს, საცხოვრისით უზრუნველყოფას და სხვა საჭიროებებს მოხმარდა.

გარდაცვლილების ოჯახებზე გაიცა 10 ათასი ლარის დახმარება.

ლექვინაძის თქმით, ამჟამად 52 ოჯახს სჭირდება საცხოვრებელი ბინა, მათგან 40-მდე ოჯახთან მიღწეულია შეთანხმება.

„ინტერპრესნიუსი“

სკანდალური ინტერვიუ ქიბარ ხალვაში საკაშვილთან, ადეიშვილთან, კეზერაშვილთან, მერაბიშვილსა და არველაძესთან

კონსპირაციული შეხვედრების დეტალებს ასაჯაროებს

გვანცა გიორგობიანი

„მეგობრებო, „რუსთავი 2“-ის დაბრუნებასთან დაკავშირებულ დავაში ჩემი გამარჯვება იქნება გარანტია იმისა, რომ ეს არხი გახდება მიუკერძოებელი მედიასაშუალება და დაიბრუნებს საზოგადოების მხრიდან პატივისცემას და სიყვარულს“, — ამბობს ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში, რომელიც სასამართლოს მეშვეობით ცდილობს ტელეკომპანიის დაბრუნებას. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს ქიბარ ხალვაშთან.

— თქვენმა სამართლებრივმა დავამ „რუსთავი 2“-ის დაბრუნებასთან დაკავშირებით, აჟიოტაჟი გამოიწვია და რაც მთავარია, ამას დაედო პოლიტიკური სარჩული. რით შეგიძლიათ დაარწმუნოთ საზოგადოება, რომ ეს ნამდვილად ასე არ არის?

— მე კითხვას შეგიბრუნებთ — რატომ არ უნდა მიმემართა სასამართლოსთვის და რატომ არ უნდა მომეთხოვა ჩემი უფლებების აღდგენა?

— მართლაც, რატომ აქამდე არ მოითხოვეთ?

— პირველად ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში მივმართე პროკურატურას, შემდეგ 2009 წლის იანვარში, თუმცა ძიება არც მაშინ დაწყებულა. საყურადღებოა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის დასკვნაშიც არის მითითებული. შემდეგ, უკვე 2012 წლის ბოლოს კიდევ ერთხელ მივმართე პროკურატურას და საქმე დღემდე, თითქმის მესამე წელი სრულდება, ძიებაშია, თუმცა შედეგი არ ჩანს. უშედეგო ლოდინის შემდგომ, ჩემი გერმანელი ადვოკატების რჩევით გადავწყვიტე, სამოქალაქო სარჩელით მიმემართა სასამართლოსთვის.

— თქვენ პრეტენზია გაქვთ, რომ არხი წაგართვეს?

— პრეტენზია არა, ნამდვილად წამართვეს... უშუალოდ, მაშინდელი პრეზიდენტის მოთხოვნის საფუძველზე დავთმე, 2006 წლის 17 ნოემბერს...

— რას ნიშნავს — „მოთხოვნის საფუძველზე დავთმე“ — ნებაყოფლობით დათმეთ, შეგეშინდათ, მუქარა იყო, თხოვნა თუ მოთხოვნა?

— პრეზიდენტმა დამიყენა ულტიმატუმი. პრეზიდენტის წინადადება ასე ჟღერდა — შენთვის ჯობია დაგვითმო და რასაც აკეთებდი, ის გააგრძელო პრობლემების გარეშე, ხოლო „რუსთავი 2“ გადმოგვცე ჩვენო.

— თუმცა, „რუსთავი 2“-ის დათმობამ თქვენი ბიზნესები ვერ გადაარჩინა...

— როდესაც პრეზიდენტი არჩევანის წინაშე გაყენებს, ან დათმობ, ან ყველაფერს დაკარგავ. როდესაც ტელეკომპანიას თმობ და მეორე დღესაც იგივე პრეზიდენტია ქვეყანაში და იგივე ხალხია მმართველობაში, არ ვფიქრობ, რომ რაიმე შანსი მქონდა.

— სამართლიანობის აღდგენის ცნება აბსტრაქტულია. რას ნიშნავს „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში სამართლიანობის აღდგენა და საიდან უნდა დაიწყოს იგი? თქვენამდე ხომ სხვა პატრონები ჰყავდა „რუსთავი 2“-ს, რომელთაც თქვენი დახმარებით წაართვეს ტელეკომპანია?

— კი ბატონო, დავიწყოთ აქედან. ის, ვისაც მე, როგორც ამბობენ, „წავართვი“ (არ ვამბობ, რომ ვინმემ არ წაართვა, მაგრამ მე არ წამირთმევია), სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის (ვსაუბრობ ეროსი კიწმარიშვილზე), თორემ

> **სასამართლოში დამტკიცდებოდა, რა როგორ მოხდა, ვინ ვის რა წაართვა და ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, თუმცა ცოცხლები არიან სხვა მოწმეები, რომლებიც „რუსთავი 2“-ის წილის 70%-ს ფლობდნენ. თუ მათ რაიმე წავართვი, აქ არის ის ხალხი და თქვან.**

— ჯარჯი აქიმიძე, დავით დვალი, ნიკა ტაბატაძე... სინამდვილეში რა მოხდა?

— სინამდვილეში მოხდა ის, რომ 2004 წლის ზაფხულში დამირეკა ოქრუაშვილმა და გადმომცა ხელისუფლების თხოვნა, რომ უნდა შემესყიდა ტელეკომპანია. მითხრეს, რომ ფორმალურად ყველაფერი მომზადებული იყო და უნდა მივსულიყავი სანოტარო ბიუროში. იქ მისულს დამხვდნენ აქიმიძე და დვალი და მათთან ერთად იყო პაატა კარსანიძე და დიმა ქიტოშვილი. ქიტოშვილმა მთხოვა, რომ აქამდე მოყვანილი საქმე არ გამეფუჭებინა და მეყიდა „რუსთავი 2“, რაც გავაკეთე და ხელი მოვაწერე დოკუმენტებს. იქ იყვნენ დვალი და აქიმიძეც, რომელთაც სხვადასხვა კრედიტების სანაცვლოდ, დაგირავებული ჰქონდათ თავიანთი ქონება. მათ წინაშე ავიღე პასუხისმგებლობა მათ გირაოზე, საბუთებს ხელი მოვაწერე, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და დავიშალეთ.

— ეროსის რა როლი ჰქონდა ტელეკომპანიის გაყიდვის პროცედურებში?

— ამის შემდეგ ჩაერთო საქმეში ეროსი. ის იყო დირექტორი, როდესაც მე მისგან წილი შევიძინე.

— როგორ იყო წილები გადანაწილებული და თქვენ წილის რა პროცენტი შეიძინეთ?

— მე შევიძინე აქიმიძის და დვალის 60%, დანარჩენი — 30% იყო ეროსი კიწმარიშვილის და 10% ნიკა ტაბატაძის. ამის შემდეგ გავაგრძელეთ საუბარი ეროსი კიწმარიშვილთან და ნიკა ტაბატაძესთან. ფაქტობრივად, გარიგებული და მოლაპარაკებული იყვნენ ხელისუფლებასთან. მითხრეს, რომ ეს გარიგება სულ 7 200 000 დოლარი ღირდა, რომელიც მე უნდა გადამეხადა და ამ საფასურად „რუსთავი 2“ ჩემს მფლობელობაში გადმოვიდოდა.

— ანუ, რეალურად, თქვენ „რუსთავი 2“ შეიძინეთ ხელისუფლების მითითებით თუ თხოვნით, მაგრამ არ გაგიჩნდათ კითხვა, რატომ დათმო ამ ხალხმა კომპანია? ყველამ ვიცოდით, რეალურად რაც ხდებოდა და ვინ აკონტროლებდა „რუსთავი 2“-ს. თქვენ, ბიზნესმენი ვერ ხვდებოდით, რომ პოლიტიკურ თამაშში იყავით ჩათრეული?

— ხელისუფლებასთან მანამდეც მქონდა ურთიერთობა და ვთვლიდი, რომ ხელისუფლება კარგ გზას ადგა. ფაქტობრივად, 2003 წლის ნოემბრიდან 7-8 თვე იყო გასული. მე მომხრე ვიყავი ქვეყანაში რეფორმების გატარების, მიმაჩნდა, რომ ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ ტელეკომპანია ვერავის გავლენის ქვეშ ვერ მოექცეოდა.

— იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება აკონტროლებდა კერძო ტელევიზიას, თვლიდით, რომ კარგ გზას ადგა?

— შემოთავაზება იყო ასეთი, მე თუ არ ვიყიდდი ამ ტელევიზიას, ეროსი გაყიდდა სხვებზე. ხელისუფლებამ დამიყენა ასეთი არჩევანი — შენ თუ არ იყიდი ტელევიზიას, ეროსი მას გაყიდის ჩვენს მტრებზეო. მე სხვა არჩევანი არ მქონდა, ამასთანავე მოვითხოვე, რომ ჩემს საქმეებში არ ჩარეულიყვნენ.

— ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი თავს დაზარალებულებად თვლიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი არჩევანი არ ყოფილა ტელევიზიის გაყიდვა.

— აქიმიძე და დვალი თავს თუ თვლიან დაზარალებულად, ზუსტად ისეთივე მეთოდით უნდა მიმართონ სასამართლოს და დაამტკიცონ თავიანთი სიმართლე, როგორც ამას ვაკეთებ მე. თუ დადგინდება, რომ მათ რაიმე ეკუთვნით, მე მზად ვარ მათთან სასაუბროდ. ვფიქრობ, კომპრომისს გამოვნახავთ. საერთოდაც,

> **სამართლიანობის აღდგენა შესაძლებელი იქნება, თუ ამ წართმევა-ჩამორთმევების პროცესში დაზარალებული ყველა პირისთვის მოხდება სამართლიანობის აღდგენა. მე მზად ვარ, ყველასთან ვისაუბრო და მოლაპარაკებები ვაწარმოო. ამ პროცესში არ უნდა დარჩეს დაზარალებული არავინ. ამასთანავე მინდა, ეს პროცესი ღიად და გამჭვირვალედ წარიმართოს.**

— რა მდგომარეობაში ჩაიბარეთ ტელეკომპანია 2004 წლის ზაფხულში?

— წილების ყიდვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სალაროდან გაცემული იყო დიდი რაოდენობის თანხები და კომპანიას ჰქონდა ვალები. მატერიალური აქტივები ვალებს არ აბალანსებდა. კომპანიას ასევე, სახელმწიფოს წინაშე გააჩნდა მილიონობით ლარის დავალიანება. ჩემს დროს მოხდა ამ დავალიანების რესტრუქტურიზაცია, იმისათვის, რომ ფუნქციონირების საშუალება მქონოდა. თუმცა, როდესაც ტელევიზია დამათმობინეს, ეს ვალები იპატიეს.

„ჩემი გამარჯვება იქნება გარანტია, რომ „რუსთავი 2“ დაიბრუნებს საზოგადოების პატივისცემას“

— ნაციონალურ მოძრაობასთან ვინ დაგაახლოვათ?

— სააკაშვილის გარდა, ამ გუნდის ყველა ლიდერს 1997-98 წლებიდან ვიცნობდი. ადეიშვილი ჩვენი ადვოკატი იყო, ოქრუაშვილიც იმ კომპანიაში მუშაობდა, რომელთანაც იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გვქონდა გაფორმებული. შემდეგ, ეს ურთიერთობა გადაიზარდა მეგობრობისმაგვარში, ნორმალური ურთიერთობა გვქონდა.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ნაციონალები ბიზნესის თავისუფლად კეთების საშუალებას შეგპირდნენ. თქვენი თავისუფლება რა მომენტიდან შეიზღუდა?

> **— ჩემი თავისუფლება პირველად მაშინ შეიზღუდა, როდესაც მოჭიდავეების საქმეზე ხალხი ქუჩაში გავიდა. მაშინ მივხვდი, რომ საქმე ისე არ იყო, როგორც მეგონა**
> **— მთელი დღე მირეკავდნენ, ხან გიგი უგულავა და ცალკე პრეზიდენტი, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ლაივი შეგვეწყვიტა ქუჩიდან და მხოლოდ საინფორმაციოში გადაგვეცა ის, რაც ხდებოდა.**

მართალია, ტელევიზიას მე ვხელმძღვანელობდი, მაგრამ უშუალოდ ოპერაციებს და საქმიანობას უძღვებოდა დირექტორი. იმ დღეს დირექტორი არ იყო და მე წავედი ტელევიზიაში იმის გასარკვევად, რა და როგორ შეიძლებოდა მოგვარებულიყო. თანამშრომლებს ვუთხარი, რომ ხელისუფლებას პრეტენზია ჰქონდა, თუმცა კოლექტივი მყარად დადგა და დამარწმუნეს, რომ ყველაფერი ასე უნდა დარჩენილიყო.

სამწუხაროდ, იმ კოლექტივის დიდმა ნაწილმა აზრი ბევრჯერ შეიცვალა და პოზიციას კონიუნქტურის მიხედვით იცვლის. ამის შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივ გრძელდებოდა, სანამ გირგვლიანის ამბავი არ მოხდა. ამის შემდეგ ხელისუფლებისგან საყვედური ბევრჯერ მივიღე. პრეტენზიები მოვისმინე მაშინაც, როდესაც სააკაშვილი წავიდა ამერიკაში. მაშინ ხელისუფლებამ სააკაშვილის ვიზიტს დაამთხვია გირგვლიანის სასამართლო, რომ გირგვლიანის თემა გადაეფარათ, თუმცა ჟურნალისტებმა პირველ თემად გირგვლიანის პროცესი გააშუქეს. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მგონი, ვანო მერაბიშვილმა მისაყვედურა — ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი რომის პაპის შემდეგ პირველ ადამიანს ხვდებოდა და თქვენ მაინც სასამართლოს გაშუქებით დაიწყეთო. ამის შემდეგ ამითვალწუნეს.

2006 წლის ზაფხულში პრეზიდენტის კანცელარიიდან შემოვიდა ზარი და მთხოვეს, მივსულიყავი. მაშინ, მე და პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, ვიჩხუბეთ. მიშამ მითხრა, რომ მეც და „რუსთავი 2“-იც ვიყავით ქვეყნის მტრები და ამ სიტუაციას უახლოეს მომავალში გამოასწორებდა. მახსოვს, მაშინ, სიტყვა-სიტყვით, ასეთი რამ მითხრა: „მე წავალ ოსეთში, ვიომებ, ბომბები რომ ჩამოგიცვივდებათ ეზოებში და სახლებში, მერე მიხვდებით, რას აშავებთ... იქედან რომ დავბრუნდები, პირველი „რუსთავი 2“-ში შევალ... ისეთი გულუბრყვილო თვალებით მიყურებ, თითქოს არაფერი დაგიშავებია“-ო. ისე ყვიროდა, ხელი მოუსვა და მაგიდაზე რაც ელაგა, ყველაფერი ქვევით გადმოყარა.

> **სხვათა შორის, 2008 წლის თებერვალში ზუსტად ეს დავწერე ჩვენებაში, როდესაც გერმანიაში მოვითხოვე თავშესაფარი. აგვისტოს ომის შემდეგ კი გერმანიის სპეცსამსახურებიდან დამიკავშირდნენ და მკითხეს, რატომ ემთხვეოდა 2008 წლის თებერვალში მოყოლილი ისტორია 2008 წლის აგვისტოს ამბებს. რა უნდა მეპასუხა?**
> **— არ ვიცი, რატომ დაემთხვა, თუმცა რაც მაშინ მითხრა, რეალობა იყო — წავიდოდა, იომებდა და იქედან გამარჯვებული პირველი „რუსთავი 2“-ში შემოვიდოდა და გვაჩვენებდა, ვინ ვიყავით.**

— თქვენი და სააკაშვილის ჩხუბი როგორ დასრულდა?

— მას შემდეგ, რაც პირში მომახალა, რას აპირებდა, დაწყნარდა, გადმოყრილი ნივთები უკან, მაგიდაზე დაალაგა. ასე დავშორდით. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ მთხოვა შეხვედრა და დირექტორის შეცვლა მომთხოვა.

— რა უპასუხეთ?

— არაფერი... ინერვიულა... და დავიშალეთ.

— მხოლოდ სააკაშვილს ხვდებოდით თუ სხვებიც ესწრებოდნენ თქვენს შეხვედრებს?

— კი, სხვა ადამიანებიც იყვნენ, ადმინისტრაციიდან — არველაძე და ხშირად, გიგი უგულავაც. პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციის უფროსს მედიის კონტროლს ავალებდა მარიკა ვერულაშვილთან ერთად. ყველას იყენებდა და აკონტროლებდა. ერთხელ მითხრა, შენი ჟურნალისტი ირმა ნადირაშვილი არის კორუმპირებულიო, ასევე სხვადასხვა ჟურნალისტებთან დაკავშირებით მეუბნებოდა ჩემთვის წარმოუდგენელ ამბებს. არხის ჟურნალისტების დისკრედიტაციას ცდილობდა, რომ ეს გამოეყენებინა ჩემს წინააღმდეგ.

— ამის შემდეგ როგორ ვითარდებოდა მოვლენები?

— როგორც გითხარით, ჯერ ტაბატაძის შეცვლა მოითხოვა, რაზეც უარი ვუთხარი, მაგრამ მეორედ ულტიმატუმი დამიყენა, კანდიდატიც მომზადებული ჰყავდათ კობა დავარაშვილის სახით. ვცდილობდი, დრო გამეჭიმა, მაგრამ ბოლოს მითხრა, რომ ტაბატაძე უნდა გამეშვა. ტაბატაძეს ბოდიში მოვუხადე, ვუთხარი, შენმა აქ ყოფნამ ურთიერთობა ძალიან დამიძაბა-მეთქი და ვთხოვე, ეს სამსახური დაეტოვებინა, რასაც ჟურნალისტების პროტესტი მოყვა. ამ დროს ვიყავი თურქეთში, დათო კიკალიშვილი, რომელიც იმ დროს ბათუმში ისვენებდა, იქედან აძლევდა ჟურნალისტებს დირექტივებს — პროტესტი მოაწყვეთ, „პაკრიშკები“ დაწვით და ა.შ. ამ ყველაფრის მერე კიკალიშვილი ჩემთან მოვიდა და ყურში ჩამჩურჩულა: მაგათ გმირებად უნდოდათ წასვლაო. ალბათ, გემახსოვრებათ ლაზაშვილის, ლეჟავას, რუხაძის მაშინდელი დემარში. მათთან ერთად, მგონი, გოგოტიშვილიც წავიდა, მაგრამ მერე მობრუნდა.

— სააკაშვილი დაწყნარდა ტაბატაძის წასვლით?

> **— სააკაშვილი ვერასდროს ვერ დაწყნარდება. აღმოჩნდა, რომ სააკაშვილისთვის პრობლემა მე ვიყავი. დავარაშვილის მოსვლის შემდეგ მივხვდი, რომ მათ სჭირდებოდათ ადამიანი, რომელთანაც პირდაპირი კონტაქტი ექნებოდათ, რათა ის ეკეთებინათ, რაც უნდოდათ.**

2006 წლის ნოემბერში დამირეკა არველაძემ და მთხოვა, მასთან მივსულიყავი. მაშინ არველაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი იყო, კაბინეტში ბეჟუაშვილიც დამხვდა, ტელეკომპანია „მზის“ და „რუსთავი 2“-ის 33%-ის დათმობა მომთხოვეს. მაშინ ორივე კომპანიის 78%-ს ვფლობდი და 33% ნიშნავდა, რომ კონტროლი უნდა დამეთმო. სამაგიეროდ, მომცემდნენ პირველი სტერეოს 45%-ს. ჯერ ვკითხე, მათემატიკის აზრზე თუ იყვნენ, მერე კი არველაძეს ვკითხე, პირადად თვითონ რატომ მელაპარაკებოდა, რა უფლებით და თუ ბეჟუაშვილს ჰქონდა წინადადება, მას იქ რა ესაქმებოდა. ასე რომ, ბოდიში მოვიხადე, ვერაფერი გავიგე-მეთქი და წავედი.

იქედან გამოსული მეგობართან ერთად ჩოგბურთის სათამაშოდ წავედი. ატყდა რეკვა, ხან პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მირეკავდნენ, ხან დაცვის უფროსი რეკავდა და ხანაც — სამდივნოდან. ვიცოდი, რა თემაზეც უნდოდათ საუბარი და სანამ არ მოვრჩი ჩოგბურთის თამაშს, მანამდე არ ვუპასუხე. დაახლოებით თორმეტის ნახევარი იყო, პრეზიდენტთან რომ მივედი. მიშამ კატეგორიულად მომთხოვა „რუსთავი 2“, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირდაპირ მითხრა, რომ ყველაფერს დავკარგავდი თავისუფლების ჩათვლით. მეორე დღეს დამირეკა დიმიტრი ქიტოშვილმა, ნოტარიუსთან დამიბარეს და წილი გადამაფორმებინეს.

— ვისზე გადააფორმეთ?

— ქიტოშვილმა მოიყვანა ვინმე ბიძინა ნიჟარაძე და ამ ადამიანზე გადამაფორმებინეს ჩემი წილის ნაწილი, დანარჩენი ნაწილი გაფორმდა „საქცემენტზე“. შემდგომი ოპერაციები ზუსტად არ მახსოვს. იმ დღეს კიდევ ერთი კომიკური ისტორია მოხდა. როდესაც დავიშალეთ და ნოტარიუსისგან წამოვედით, ზარი დამაწიეს — ვაიმე, „მზის“ წილების გადაფორმება დაგვავიწყდაო.

— ტელევიზია დათმეთ და რას ერჩოდნენ თქვენს დანარჩენ ბიზნესებს?

> **— დღეს უკვე ვიცი. სააკაშვილი, გარდა იმისა, რომ დიქტატორია, არის ფსიქიკურად აშლილი ადამიანი. თუ ვინმეს რამე დაუშავა, სულ ცდილობს, მის ბოლომდე განეიტრალებას. განეიტრალებაში ვგულისხმობ დაჭერას, კომპრომატებს, ფარულ თვალთვალს, ჩანაწერებს, შანტაჟს, რომ ადამიანს წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაეკარგოს.**

— თქვენს შემთხვევაში რა მოხდა?

— პირობა ჰქონდათ დადებული, რომ ჩემს სხვა ბიზნესებს არ შეეხებოდნენ და მეგონა, მომეცა შანსი, დაწყებული პროექტები გამეგრძელებინა. მართლაც მეტ-ნაკლები პრობლემებით ვაგრძელებდი 2007 წლის აგვისტომდე. აგვისტო იყო მიშას შავი საქმეების პიკი და დაიწყეს სახელმწიფოს მიერ დაკვეთილ პროექტებზე ფინანსური შეფერხებები. მშენებლობებზე დასაქმებული იყო ორი ათასი ადამიანი. სახელფასო ფონდი იყო დაახლოებით ნახევარი მილიონი, მშენებლობის წარმოებას მიმდინარე მასალების შესყიდვას და ა.შ. ძალიან დიდი თანხა სჭირდებოდა და უცბად შემექმნა პრობლემა. პრობლემებთან დაკავშირებით სასაუბროდ ვიყავი ადეიშვილთან, ყველაფერი ავუხსენი, რას აფუჭებდნენ და როგორ აფუჭებდნენ. შემდეგ შევხვდი ბაჩო ახალაიას გია ქავთარაძესთან (იმჟამინდელ იუსტიციის მინისტრთან), შემპირდნენ, რომ გარკვეულ თანხას მოგვცემდნენ. ამის შემდეგ მოლაპარაკებაზე გამოაგზავნეს კეზერაშვილი. ისიც მაშინ თავდაცვის მინისტრი იყო და სამინისტროსგან გორის ბაზის მშენებლობაზე დაკვეთა მქონდა. გორიდან ვბრუნდებოდით, როცა კეზერაშვილმა მკითხა, შენი ძმაკაცი ოქრუაშვილი რას ფიქრობსო. მე პოლიტიკისგან ყოველთვის შორს ვიჭერდი თავს და ვუთხარი, ნუ ჩამრევთ მაგ საქმეში, თქვენ თვითონ გაარკვიეთ ერთმანეთში-მეთქი.

— რატომ დაგისვათ ეს კითხვა?

— იცოდნენ, ალბათ, რომ ოქრუაშვილი ოპოზიციონერობას აპირებდა. ამის მერე კეზერაშვილი კიდევ ერთხელ დამიკავშირდა, უკვე, სექტემბერში და შეხვედრა მომთხოვა. კეზერაშვილთან სამინისტროში ვისაუბრეთ. კეზერაშვილი დანიშნული ჰყავდათ მოლაპარაკებებზე. რადგან ის იყო ჩემი ყველაზე მსხვილი დამკვეთი, ალბათ, ფიქრობდნენ, რაკი შუაში ფული იყო, უფრო ადვილად შესაძლებელი იქნებოდა მოლაპარაკება. კეზერაშვილი დაინტერესდა, ოქრუაშვილს დავეხმარებოდი თუ არა, თუ იგი ოპოზიციაში წავიდოდა. როგორც ჩანს, ჩემმა პასუხმა არ დააკმაყოფილა და ორ დღეში კომპანია IBC-ში შევარდნენ და დააყადაღეს. მე ამ დროს ბაქოში ვიყავი და სასწრაფოდ ჩამოვედი. კვირა დღე იყო და ვერაფრის გარკვევა ვერ შევძელი, ორშაბათს კი ოფისში შეიარაღებული ბრიგადები შემოვარდნენ. ეს არ იყო ფინანსური პოლიცია, უფრო ბანდფორმირების სახე ქონდათ.

— „არტი“ რატომ დაწვეს?

— „არტის“ დაწვა, ჩემი აზრით, ჩემს საჩვენებელ დასჯასთან ერთად, ბიზნესმენების დაშინებას ემსახურებოდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

„მე შევიძინე აქიმიძის და დვალის 60%, დანარჩენი — 30% იყო ეროსი კიწმარიშვილის და 10% ნიკა ტაბატაძის. ამის შემდეგ გავაგრძელეთ საუბარი ეროსი კიწმარიშვილთან და ნიკა ტაბატაძესთან. ფაქტობრივად, გარიგებული და მოლაპარაკებული იყვნენ ხელისუფლებასთან. მითხრეს, რომ ეს გარიგება სულ 7 200 000 დოლარი ღირდა, რომელიც მე უნდა გადამეხადა და ამ საფასურად „რუსთავი 2“ ჩემს მფლობელობაში გადმოვიდოდა...“

„ჩემი გამარჯვება იქნება გარანტია, რომ „რუსთავი 2“ დაიბრუნებს საზოგადოების პატივისცემას“

მე-5 გვერდიდან

— თქვენ „რუსთავი 2“-ის ნომინალურ მეწილეებს უჩივით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, ვინ არიან ეს ნომინალური მეწილეები...

— ნომინალური მეწილეები არიან გია და ლევან ყარამანაშვილები და მათი ტელეკომპანია „საქართველო“. ჩემთვის ცალსახაა, რომ ყველაფერი არის პირადად მიშასი. ყარამანიშვილი, როგორც წესი, ჩნდება მიშასთვის ყველაზე მომგებიანი და ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიების მეწილედ.

— რატომ მიიღეთ ტელევიზიის დაყადაღების გადაწყვეტილება?

— როგორც იურისტებმა ამიხსნეს, ეს ჩვეულებრივი დავის ელემენტია, წილები რომ არ გასხვისდეს, ასევე არ შემცირდეს წილების ღირებულება და კომპანიას არ აკიდონ ვალები.

— ჟურნალისტები წუხან, რომ მათ საქმიანობაში ხელი ეშლებათ...

— ჟურნალისტების საქმიანობას არც დღემდე ეშლებოდა ხელი და არც მომავალში შეეშლება. როგორც ვიცი, „მაესტრო“ 2011 წლიდან დაყადაღებულია, მაგრამ მაინც ახერხებენ ცხოვრებას. ანგარიშების დაყადაღების შემთხვევაში მართლა შეეშლებოდათ ხელი.

ჩემი გერმანელი ადვოკატების მიერ მომზადებული სარჩელის პირველად ვერსიაში მართლაც იყო მოთხოვილი ანგარიშების დაყადაღება, მაგრამ სანამ სასამართლო განიხილავდა, ჩემი ინიციატივით შევიტანეთ შესწორება და უარი განვაცხადეთ ანგარიშების დაყადაღებაზე. მე ვითხოვ „რუსთავი 2“-ს, როგორც მოქმედ კომპანიას და არ მაწყობს, „რუსთავი 2“-ს დღევანდელი ჩემი ქმედებით შეექმნას ისეთი პრობლემა, რომლის რეაბილიტაციასაც დასჭირდება დიდი თანხები.

— ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ დაწყებული თქვენი დავა ხელისუფლების ინტერესში შედის, რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ თქვენს უკან ხელისუფლება არ დგას?

— ჩემი დავა ხელისუფლების ინტერესში რომ შედიოდეს, 2012 წელს პროკურატურაში რომ სარჩელი შევიტანე, რა უშლიდათ ხელს, ეს საქმე გამოეძიებინათ?!

— თუ სასამართლო თქვენს სარჩელს დაკმაყოფილებს და „რუსთავი 2“-ს დაიბრუნებთ, მედიაბიზნესი საინტერესო იქნება თქვენთვის?

— ადამიანი ყოველთვის რაღაცაზე ფიქრობს და თუ ხელისუფლების მხრიდან ჩარევას ადგილი არ ექნება, ეს ბიზნესი საინტერესოა და მე მას განვავითარებ. ჩემი აზრით, ხელისუფლება არც ერთ მედიასაშუალებას არ აკონტროლებს. ეს კარგია. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ უკანონოდ არავინ ჩაერევა ჩემს საქმიანობაში. ასეთ შემთხვევაში კი, გაცილებით ადვილია, ეს ბიზნესი მართლაც ბიზნესად იქცეს და ჩემი ჩანაფიქრი, რომელიც 2004-2005 წლებში მქონდა, სისრულეში მოვიყვანო.

ვთვლი, რომ მედიასაშუალება, მით უფრო ტელევიზია, ერთ კაცს არ უნდა ეკუთვნოდეს და ასე მარტივად გასხვისება არ უნდა ხდებოდეს. ალბათ, რაღაც რეგულაცია უნდა არსებობდეს, რომ მედიასაშუალების ერთი ადამიანის ხელში ჩაგდებას ხელი შეეშალოს. შესაძლებელია, თანამშრომლებიც დავაინტერესოთ, მედიასაშუალება კომერციულად გამართულ სტრუქტურად თუ ჩამოყალიბდება, მათი შემოსავალიც გაიზრდება.

— ანუ, თანამშრომლებზე აქციების გაცემას გულისხმობთ?

— არ გამოვრიცხავ, თუმცა ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ზონდერებს.

— ეს ნიშნავს, რომ თქვენთვის მიუღებელი ხალხი დატოვებს ტელევიზიას?

— საქართველოში ტენდენციად იქცა — თუ უფროსი გავალებს დანაშაულის ჩადენას, შენ არაფერ შუაში ხარ. შესაძლოა, ეს გაცილებით ნაკლები დანაშაულია, ვიდრე უფროსის მიერ გაცემული დავალება, მაგრამ...

გვარამია განსაკუთრებული შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში. მე დღემდე თავს ვიკავებ, რომ მის უზრდელობას უზრდელობით და უხამსობით არ ვუპასუხო და ამიტომ, მის კომენტარებს აქაც უსიტყვოდ დავტოვებ. იმას კი ვიტყვი, რომ გვარამია მდევნის 2006 წლიდან დღემდე. გვარამია იყო გენერალური პროკურორის მოადგილე და იმ უკანონობების შესრულებისას, რასაც მაშინდელი ხელისუფლება სჩადიოდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მახსოვს, მისი განცხადებები იმასთან დაკავშირებით, თითქოს, ოქრუაშვილის გირაო მე გადავიხადე.

— აბა, ვინ გადაიხადა?

— რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ და თვითონვე გამოუშვეს. როგორ გადაიხადა და ვის მიატანინა, მე არ ვიცი, მაგრამ ციხიდან ოქრუაშვილის გამოშვების შემდეგ მომადგნენ და მითხრეს, რომ ოქრუაშვილის გირაო უკანა რიცხვით უნდა გადამეხადა. უშუალოდ კეზერაშვილმა მომთხოვა გირაოს გადახდა, რაზეც უარი ვუთხარი. ორი დღის შემდეგ კი, ბათუმში ჩემი ძმა აიყვანეს მძევლად და დააპატიმრეს. პატიმარს ტელეფონი დაუტოვეს და არეკინებდნენ სხვადასხვა ნაცნობებთან, რომ ოქრუაშვილის გირაოს სანაცვლოდ ათი მილიონი მოეძია.

— ამ დროს გირაო გადახდილი იყო უკვე?

— მე არ ვიცი, იყო თუ არ იყო, რაც მოხდა, იმას გიყვებით. გოგუა, ჩემი პარტნიორი, რომელიც ოქრუაშვილთან ერთად იყო დაპატიმრებული, გამოუშვეს და დააბარეს — ქიბართან სალაპარაკო გვაქვსო. დავურეკე კეზერაშვილს და ვუთხარი, რომ სახლში ვიყავი (არადა, მაშინ, გვარამია აცხადებდა, გაქცეულიაო). კეზერაშვილმა მანქანა გამომიგზავნა და მასთან შესახვედრად წავედი. კეზერაშვილმა 10 000 000 დოლარის გადახდა მომთხოვა. აქედან 10 000 000 ლარი უნდა გადამეხადა ოქრუაშვილის გირაოს საფასურად, ხოლო დანარჩენი იყო ჩემი პერსონალური ჯარიმა — ვინაიდან არ მიყვარდა მიშა სააკაშვილის ხელისუფლება, მათ პერიოდში ნაშოვნი ფული უკან უნდა დამებრუნებინა.

— რას გულისხმობდნენ, ტენდერებში რომ უპირატესობას გაძლევდნენ?

— მე მეკითხებოდნენ, კონკრეტულ საქმეს გავაკეთებდი თუ ვერა. მე გამკეთებელი ვიყავი, მივდიოდი და ვაკეთებდი. ამ პერიოდში ტენდერებზე გაცილებით მომგებიანი და მყარი ბიზნესი მქონდა — „პროქტერ ენდ გემბელის“ პარტნიორობა და ამ საქმით გაცილებით დიდი ხნით ადრე ვიყავი დაკავებული, ვიდრე მიშა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდოდა. 2003 წლისთვის, როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ჩვენ ვიყავით ყველაზე დიდი სადისტრიბუციო კომპანია კავკასიაში.

საკმაოდ მდიდარი ადამიანი ვიყავი და არავინ დამაბრალოს, რომ მათ დროს ვიშოვე ფული. მათი შავი პიარის შედეგია, რომ დღემდე ხალხს ჰგონია, თითქოს, ოქრუაშვილის დახმარებით ვიშოვე ფული. მე ოქრუაშვილის დახმარებით, რაც მანამდე მქონდა ნაშოვნი, ყველაფერი დავკარგე — საუბარია 50 000 000 დოლარის ღირებულების აქტივებზე და ნორმალურ სახელმწიფოში ჩვენი ზარალის კომპენსაცია 100 000 000 დოლარამდეც მიაღწევდა.

— თანხა, რომლის უკან დაბრუნებაც მოგთხოვეს, გადაიხადეთ?

— არ გადავიხადე, კეზერაშვილს ვუთხარი: მეგობრობის გამო, თუ გირაო მაქვს გადასახდელი, შენ რა იცი, მეგობრობაში რამდენს ვიხდი-მეთქი. რამდენიც მიღირს, იმდენს გადავიხდი, შენ თუ მნახე, ისიც მნახავს და რამდენსაც მივცემ, იმდენს მივცემ, შენ ვინ გეკითხება-მეთქი. ასე რომ, 10 კაპიკსაც არ გადაგიხდით-თქო, ვუთხარი და წამოვედი. ამას მოყვა, როგორც გითხარით, ჩემი ძმის დაპატიმრება. პატიმრობიდან სამი დღის შემდეგ, დავუკავშირდი დათა ახალაიას და ვუთხარი, რომ ფულის სანაცვლოდ დავუთმობდი „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“, რომელიც სახელმწიფო დაკვეთებს ასრულებდა. ამ კომპანიას, შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ სახელმწიფოსგან დიდი თანხები ჰქონდა ასაღები. თანხმობა განაცხადეს.

ამის შემდეგ მოხდა კომპანიის წილების გადაფორმება იმ ადამიანებზე, რომლებიც ადრე ჩემთან მუშაობდნენ, ოღონდაც ხელისუფლებას ისინი კონტროლის ქვეშ დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ყავდა.

სხვათა შორის, ამ კომპანიას და მის საბანკო ანგარიშებსაც მანამდე ყადაღა დაადეს, ხოლო როგორც კი წილები გადაფორმდა, მეორე დღეს სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიის ანგარიშებს, თურმე, ყადაღა აღარ უნდა ჰქონოდა. ერთი დღით მოხსნეს ყადაღა, ორი სამინისტროდან — იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროდან მოხდა ტრანსფერი ამ დაყადაღებული კომპანიის ანგარიშზე, ჩარიცხეს დაახლოებით შვიდი მილიონი ლარი და ისევ დააყადაღეს კომპანია. იმავე დღეს, ეს თანხები მიმართეს ოქრუაშვილის გირაოს ანგარიშზე. თუმცა, ამ დროს ოქრუაშვილი 20 დღის გამოსული იყო ციხიდან. გადახდის ქვითრები ჩემთან დარჩა და სტრასბურგის სასამართლოსთვის არის წარდგენილი.

ისევე, როგორც ჩემ მიერ ოქრუაშვილის გირაოს გადახდის ისტორია შეთხზეს, დღესაც ცდილობენ, ჩემი სახელი დააკავშირონ ოქრუაშვილთან და კვლავაც აგრძელებენ აბსურდული ისტორიების მოყოლას, რომ თითქოს, მე ოქრუაშვილმა მომცა „რუსთავი 2“-ის შესაძენი ფული, თუ კომპენსაცია გადამიხადა. ურთიერთსაწინააღმდეგო რამეებს ამბობენ ნახევარსაათიან ინტერვალში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ეს არის გვარამიას მიერ უნიჭოდ შეთხზული კიდევ ერთი ყალბი ისტორია, რომელსაც სინამდვილესთან არანაირი კავშირი არა აქვს.

თუმცა მე გვარამიასთან ჯერჯერობით სალაპარაკო არაფერი მაქვს. როგორც იცით, ტელედებატებში გამოვიწვიე „რუსთავი 2“-ის ნომინალური მფლობელები — ყარამანაშვილები და დღემდე პასუხი არ მიმიღია. რაც შეეხება გვარამიას, მისი, როგორც კომპანიის დირექტორის საქმიანობის კანონიერების შესწავლას აუცილებლად მოვითხოვ, როდესაც დავიბრუნებ ტელეკომპანიას.

— გჯერათ, რომ ამ დავაში გაიმარჯვებთ და „რუსთავი 2“-ს დაიბრუნებთ?

— რა თქმა უნდა, მჯერა და ამის მჯეროდა მაშინაც, როცა ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. არ შეიძლება, საბოლოოდ სიმართლემ არ გაიმარჯვოს. ამისი მჯეროდა მაშინაც, როდესაც მთლიანად მიშას ნებაზე დამოკიდებულ სასამართლოში და პროკურატურაში ვცდილობდი ჩემი სიმართლის დამტკიცებას. კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც გული შესტკივა თავისუფალ და დამოუკიდებელ მედიაზე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ: მეგობრებო, „რუსთავი 2“-ის დაბრუნებასთან დაკავშირებულ დავაში ჩემი გამარჯვება იქნება გარანტია იმისა, რომ ეს არხი გახდება მიუკერძოებელი მედიასაშუალება და დაიბრუნებს საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სიყვარულს.

რას მოუტანს საქართველოს აბრეშუმის გზის ფორუმი

ბათო ჯაფარიძე

„საქართველო უნდა გახდეს ის ჰაბი, რომელიც აღმოსავლეთსა და ევროპას ტვირთების თვალსაზრისით დააკავშირებს“

საქართველოში მიმდინარე აბრეშუმის გზის ფორუმს ასეულობით სტუმარი ესწრება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით გამართული ფორუმი, რომელშიც აშშ-ს ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ბრიუს ენდრიუსიც** მონაწილეობს, ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

„ჩემთვის დიდი პატივია ვიმყოფებოდე ამ ფორუმზე ელჩ კელისთან და მის გუნდთან ერთად. საქართველო არის შესანიშნავი მეგობარი და პარტნიორი აშშ-სთვის. ჩვენ ვეძებთ შესაძლებლობებს, რომ განვავითაროთ ეკონომიკური ურთიერთობები. ამერიკული კომპანიების დაინტერესებას საქართველო მთელი რიგი მიზეზების გამო გამოიწვევს. მათ შორის გახლავთ ბიზნესის კეთების სიმარტივე, სადაც საქართველო ერთ-ერთი ლიდერია. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს კორუფციასთან აგრესიული ბრძოლა. ამერიკული კომპანიებისთვის საქართველო ასევე, საინტერესო იქნება იმით, რომ ქვეყანა უფრო და უფრო წარმოაჩენს თავის თავს, როგორც რეგიონული ლოჯისტიკური ცენტრი. ჩვენ გვსურს, ამერიკული კომპანიები მეტად იყოს საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი“, — განაცხადა ენდრიუსმა და მოსაზრება მთლიანად რეგიონზეც გამოთქვა.

ფორუმზე იმყოფება თავისუფლებისა და დემოკრატიის ინსტიტუტის პრეზიდენტი **ჰერნანდო დე სოტო**, რომლის თქმითაც, საქართველოს გეგმები ღირსშესანიშნავი და ამბიციურია:

„ვიცი, ძალიან კარგი ამბიცია გაქვთ და მინდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ახლა ტაში დავუკრათ, რადგან საქართველოს გეგმები ნამდვილად ღირსშესანიშნავი და ამბიციურია“.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს“ 31 ქვეყნის წარმომადგენლობითი დელეგაცია და 20 საერთაშორისო, საფინანსო და დონორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ესწრება. ფორუმზე იმყოფება ჩინეთის დელეგაციაც, რომელსაც **შოხრატ ზაკირი** ხელმძღვანელობს.

„დღეს შევიკრიბეთ თბილისში, რათა განვიხილოთ აბრეშუმის გზის პოტენციალის მაქსიმალური ათვისების შესაძლებლობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა — როგორც მოგეხსენებათ, აბრეშუმის გზა არის ისტორიული გზა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ძალიან დიდი ხანია არსებობს. დღევანდელ სამყაროში ეს არის გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ყველამ ვისარგებლოთ და ძალიან მნიშვნელოვანია აბრეშუმის გზის პოტენციალის გაძლიერება. სწორედ ამიტომაც ვართ აქ შეკრებილები. აბრეშუმის გზა არის ეკონომიკური ინიციატივა და ძალიან ბევრ ახალ შესაძლებლობას უქმნის იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ გზის გასწვრივ მდებარეობენ. რაც შეეხება ჩვენს ოლქს, სინძიანის ოლქი ძალიან ახლოს მდებარეობს ევრაზიის კონტინენტთან. ეს ჩინეთის ყველაზე დიდი პროვინციაა, ტერიტორიის მიხედვით, რომელიც ესაზღვრება მთელ რიგ ქვეყნებს. ეს არის პროვინცია, რომელიც გეოგრაფიულად ყველაზე ახლოსაა საქართველოსთან — ოთხი საათია პეკინიდან თბილისამდე“, — განაცხადა ზაკირმა.

მისი თქმით, ბოლო რამდენიმე წელია, საქართველომ და ჩინეთმა საკმაოდ საინტერესო არაერთი მასშტაბური პროექტი განახორციელეს, რომელიც აღიარებული იქნა ორივე მხარის მიერ, როგორც წარმატებული პროექტი.

„დარწმუნებულები ვართ, რომ ამ თანამშრომლობას გავაფართოვებთ. ჩინეთი, როგორც იცით, ძირითადი მამოძრავებელია აბრეშუმის პროექტის განხორციელებაში და შესაბამისად, ჩვენი ოლქისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. სინძიანს ძალიან ბევრი რესურსი აქვს — ქვანახშირი, ნავთობი, გაზი და მოხარულები ვართ, რომ კულტურული თვალსაზრისითაც საკმაოდ მაღალ ინტერესს წარმოვადგენთ და დაინტერესებულები ვართ, აქტიურად ვიღებდეთ მონაწილეობას აბრეშუმის გზის პროექტში. ეს უპრეცედენტო, ისტორიული შესაძლებლობაა და ჩვენ ვაგრძელებთ რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ძალიან ბევრს ვმუშაობთ, რომ ხელი შეეწყოს ვაჭრობას, ლოჯისტიკაც კარგად ფუნქციონირებადი იყოს და ამ ერთობლიობის შედეგად, აბრეშუმის გზა გახდება მეცნიერების, ვაჭრობის კერა. გარდა ამისა, ვთავაზობთ სამედიცინო მომსახურებას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მინდა, მოგიწოდოთ ყველას, რომ მაქსიმალურად ინტენსიური გავხადოთ ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც ურთიერთსასარგებლო უნდა იყოს და ჩინეთი მზად არის, გაუზიაროს ქვეყნებს თავისი შესაძლებლობები“, — ასეთია ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელის მოსაზრება.

ფორუმს ესწრება არაბეთის გაერთიანებული საამიროების შეიხი **ნაჰაიან მუბარაქ ალ-ნაჰაიანი**, რომელიც არ მალავს, რომ ახალი აბრეშუმის გზა ბევრ შესაძლებლობას შექმნის და საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად აქცევს.

„ეს ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ახალი აბრეშუმის გზის კონცეფცია მთლიანად გარდაქმნის რეგიონს და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ წინსვლას. აბრეშუმის გზა შექმნის ბევრ შესაძლებლობას და საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად აქცევს. საქართველოს აქვს კარგი მდებარეობა, რაც ხელს შეუწყობს, შეასრულოს ეს როლი“, — აღნიშნა შეიხმა ნაჰაიან მუბარაქ ალ-ნაჰაიანიმ, რომელიც არაბეთის საამიროების კულტურის, ახალგაზრდობისა და საზოგადოებრივი განვითარების მინისტრი, აბუ-დაბის გაერთიანებული ეროვნული ბანკის თავმჯდომარე და ალ აინის უნივერსიტეტის რექტორია. შეიხი მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრემიისა და ჯილდოს მფლობელიცაა, ასევე, თავმჯდომარეობს და პატრონაჟს უწევს 100-ზე მეტ ყოველწლიურ კონფერენციასა და სიმპოზიუმს, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, რეგიონსა და მთლიანად მსოფლიოში აქტუალურ საკითხებს ეძღვნება.

აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოსული ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ლასლო ბარანიაი აცხადებს, რომ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ არის შესაძლებლობა, სადაც სამომავლო გეგმების და პერსპექტივების განხილვა ხდება:

„ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ვინაიდან ამჟამად იზრდება ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები და თავად ეკონომიკური პოტენციალი. ფორუმი არა პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული და სწორედ ამიტომ არის ამ ფორუმსა და დისკუსიებში მონაწილეობა უკიდურესად მნიშვნელოვანი. ამ ქვეყნებს ესაჭიროებათ ინვესტიციები და ვინაიდან ფორუმზე წარმოდგენილია სახელმწიფო და კერძო ინვესტორები, ისევე როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, როგორიც, მაგალითად არის ჩვენი, ევროპის საინვესტიციო ბანკი და ყველას გვეძლევა შესაძლებლობა, განვიხილოთ პერსპექტივები, შედეგები და სამომავლო გეგმები“.

მოგეხსენებათ, საქართველოში ყირგიზეთმა არაერთი პროექტი განახორციელა და ფორუმზე დასასწრებად ქვეყნის ვიცე-პრემიერი, **ვალერი დილია** ჩამოსული.

„დღეს შესანიშნავ ქალაქში, თბილისში ვიმყოფებით აბრეშუმის გზის ფორუმზე. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც უკავშირდება აბრეშუმის გზის სარტყელის განვითარებას, რომლის კონცეფცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა გააჟღერა. აღნიშნული ფორუმი მიზნად ისახავს ამ კონცეფციის ხორცშესხმისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას შესაბამისი კონკრეტული პროგრამების შემუშავების გზით. ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელი ფორუმი თბილისში ამ პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით ფუნდამენტური იქნება და შევძლებთ ჩვენი ეკონომიკების ინტეგრირებას. ეს იქნება ევროპის, აზიისა და ჩინეთის ეკონომიკების ინტეგრირება და მოდით, ასე ვიტყვი, ეს ინტეგრირება განხორციელდება ლისაბონიდან პეკინამდე, ბიშკეკის გავლით. ჩვენს ამჟამად ყირგიზეთში ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ ამ მიმართულებით და კონკრეტული ქმედებების ეტაპობრივ პროგრამას ვადგენთ, რის შედეგადაც ჩვენ შევძლებთ ისეთი მსხვილი პროექტების განხორციელებას, რომლებიც ზეგავლენას იქონიებენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დინამიკაზე. ასევე, ვიმედოვნებთ, რომ ამ კონცეფციით გათვალისწინებული საინვესტიციო პროგრამების ფარგლებში ჩვენ უმოკლეს ვადებში შევძლებთ დასახული მიზნების განხორციელებას. მინდა, ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოსთვისაც ასევე მნიშვნელოვანია — ესაა დროის ფაქტორი. აუცილებელია, ყველაფერი დროულად გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნების მოსახლეობამ უკვე დღეს შეიგრძნონ ამ დიდი და დიადი პროექტის, „აბრეშუმის გზის“ განხორციელებით მიღებული სარგებელი“, — აცხადებს დილი.

ფორუმს, რაღა თქმა უნდა, ქართველი მინისტრებიც ესწრებიან. როგორც ეკონომიკის მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი** ამბობს, „აბრეშუმის გზის“ ფორუმზე, დელეგაციის ხელმძღვანელებმა ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილები გააკეთეს, მათ შორის, ინვესტიციებთან დაკავშირებითაც. მისივე განცხადებით, ის დეკლარაცია, რომელსაც „აბრეშუმის ფორუმზე“ მიიღებენ, მნიშვნელოვნად იმოქმედებს საქართველოს კეთილდღეობის გაზრდაზე:

„მისასალმებელ სიტყვებში დელეგაციის ხელმძღვანელებმა ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილები გააჟღერეს. მათ შორის, იყო გზავნილები, რომ მნიშვნელოვანია გაღრმავდეს ურთიერთობები კორიდორში არსებულ ქვეყნებს შორის. ასევე ის პოტენციალი, რომელიც გააჩნია „აბრეშუმის გზას“, არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდისთვის. ვიმედოვნებ, რომ საბოლოო ჯამში, დეკლარაცია, რომელიც იქნება მიღებული აღნიშნულ ფორუმზე, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის გაზრდაზე იმოქმედებს. ძალიან მნიშვნელოვან ინვესტიციებს ველოდებით ყველა მიმართულებით, მათ შორის, ინფრასტრუქტურის“.

ფორუმის ინიციატორმა და მთავრობის მეთაურმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ჩინეთისა და აშშ-ს მთავრობებს მადლობა გადაუხადა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, „აბრეშუმის გზის ფორუმი“ პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩინეთის მთავრობა ქვეყნის ფარგლებსგარეთ გამართული საერთაშორისო ღონისძიების თანაორგანიზატორია:

„ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალ სფეროებს, რომლებიც გვეხმარება საქართველოს ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკური შესაძლებლობების კიდევ უფრო გაზრდაში. ასევე, მადლობას მოვახსენებ ჩვენს მოწვეულ მომხსენებლებს. ის, რომ ამ ფორუმს ესწრება ასობით ბიზნესმენი, ცხადყოფს აბრეშუმის გზის დიდ პოტენციალს. დარწმუნებული ვარ, ვაჭრობა და კომერცია ხელს შეუწყობს მშვიდობიან თანამშრომლობას. თავს უფლებას მივცემ, დღეს აქ წარმოდგენილი ყველა სახელმწიფოს სახელით განვაცხადო, რომ ჩვენი ბიზნესლიდერები ჩვენი ქვეყნების შესანიშნავი ელჩები არიან, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს საერთო კეთილდღეობას. არც ახალი აბრეშუმის გზის პოტენციალი და არც ამ ფორუმის მასშტაბი არ არის მოკრძალებული. ჩვენ განვიხილავთ რეგიონული თანამშრომლობის საკითხებს სხვადასხვა სექტორში: ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, სასტუმრო ბიზნესი/ტურიზმი და საერთაშორისო ვაჭრობა. ჩვენთვის სასარგებლო იქნება გამოცდილი მოდერატორებისა და სადისკუსიო ჯგუფების მონაწილეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ ფორუმის მონაწილეები ბიზნესებს შორის დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაშიც ჩაერთვებიან, რაც თანამშრომლობის განმტკიცების წინაპირობაა. ამასთან, მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ აბრეშუმის გზის გაყოლებაზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობა ჩინეთიდან ევროპაში სწრაფად და იაფად გადაზიდვების შესაძლებლობას იძლევა.

„რამდენიმე კვირის წინ ვეწვიე ჩინეთს, სადაც ძალიან თბილად მიმიღეს. ჩემი ენთუზიაზმი გააათმაგა საქართველოთი დაინტერესებული ბიზნესების მოზღვავებამ. ამ ვიზიტის ფარგლებში გაცხადდა ჩვენს ქვეყანაში ახალი მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებაც. ეს მოვლენები ხაზს უსვამს საქართველოს ტრანსფორმაციას მულტირეგიონულ სავაჭრო კარიბჭედ, რომელიც აკავშირებს ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს, ცენტრალურ აზიასა და შუა აღმოსავლეთს. საქართველოს წყალობით, კერძო პირებსა თუ კომპანიებს მარტივად მიუწვდებათ ხელი მილიარდობით მომხმარებელზე აზიასა და ევროპაში, ხოლო აზიის პროდუქცია და ენერგორესურსები საქართველოს გავლით ბევრად სწრაფად მიეწოდება ევროპას“, — დასძინა პრემიერმა.

საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის **მამუკა ბახტაძის** განცხადებით, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური მაუწყებლობების მთავარი ნიუსი საქართველოში მიმდინარე „აბრეშუმის გზის“ ფორუმია: **„რაც შეეხება რკინიგზის მონაწილეობასა და როლს, ბუნებრივია, ჩვენი კომპანია არის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე აღნიშნულ იდეაში. მიმდინარე წლის თებერვალში განხორციელდა პირველი გადაზიდვა საკონტეინერო მატარებლის. ჩვენ ჩავეტიეთ 9-დღიან ვადაში, მაშინ, როცა ალტერნატივა წარმოადგენდა 45-დღიან პერიოდს. ამ ყველაფერმა ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჩვენ დღეს სპეციალურ პანელს მივუძღვნით ამ პროექტს. დიდი დაინტერესებაა მონაწილე კომპანიებისგან, რომ განახორციელონ ინვესტიციები როგორც სარკინიგზო, ასევე საპორტო ინფრასტრუქტურის კუთხით. რკინიგზის მიმართულებით ვისაუბრებთ კერძო და სახელმწიფო თანამშრომლობაზე. მნიშვნელოვანი როლი დაეთმობა ანაკლიის პროექტს, მისი მიმდებარე ტერიტორიის განვითარებას“.**

ფორუმზე კომენტარები გააკეთეს ფინანსთა მინისტრმა და სა-პარტნიორო ფონდის ახალმა ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ.

ნოდარ ხადური: „საკმაოდ საინტერესო პროექტებია, მათ შორის, ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი მაგისტრალის ამოქმედება. გარდა ამისა, უკვე გამოითქვა რამდენიმე ძალიან საინტერესო წინადადება, რომ სხვადასხვა ქვეყანამ, საქართველოს გავლით გაცვალოს ტვირთები. ეს არის როგორც ევროპული, ისე აზიური ქვეყნები. ასევე, ერთი საინტერესო ამბავიც უნდა გითხრათ. კვირას გავხსნით ახალ საბაჟო-გამშვებ პუნქტს, რომელიც ამ კონტექსტში ჯდება. ეს არის თურქეთ-საქართველოს დამაკავშირებელი კიდევ ერთი საბაჟო-გამშვები პუნქტი“.

დავით საგანელიძე: „ჩვენ დავარწმუნეთ მსოფლიო, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ღირს ინვესტიციების ჩადება. საქართველო უნდა იყოს ის საკვანძო ქვეყანა, სადაც აღმოსავლეთსა და ევროპას შორის უნდა არსებობდეს გზის გასაყარი. ძალიან ბევრი საწარმო უნდა შეიქმნას საქართველოში. საქართველო უნდა გახდეს ძალიან სერიოზული სატრანზიტო ქვეყანა და ის ჰაბი, რომელიც აღმოსავლეთსა და ევროპას ტვირთების თვალსაზრისით დაუკავშირებს“.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი დღეს დასრულდება.

ნაცვლისა და „ზონის მაყურებლების“ ფარული მიმოწერა

თურქეთში „მოლვაწე“ „კანონიერი ქურდი“ დათო საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს

პატიმარი №0578

ხელისუფლებამ რამდენიც უნდა ამტკიცოს ან უარყოს, „კანონიერი ქურდები“ იზოლირებული გვყავსო, ფაქტია: სასჯელაღსრულების დაწესებულებების ბინადრები ქურდებს ისევ ეკონტაქტებიან და მაყურებლებიც სწორედ მათი ხელდასხმით ინიშნებიან. „ვერსიის“ ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ დღეისთვის პატიმრების ის ნაწილი, რომელსაც ე.წ. კაი ბიჭებად მოიხსენიებენ, თურქეთში მყოფ „კანონიერ ქურდთან“ კონტაქტობენ. მართალია, ახალი მინისტრი კახი კახიშვილი ბევრს ცდილობს, ეს კონტაქტი მოსპოს, მაგრამ მაშინ ტუსაღებს ციხის ტელეფონით სარგებლობა საერთოდ უნდა აუკრძალოს, რაც არ გამოვა. თურქეთში მყოფ „კანონიერ ქურდს“ კი როუმინგი აქვს ჩართული და მასთან დაკავშირება მხოლოდ შაბათს კი არა, ნებისმიერ დროს შეიძლება. მოგეხსენებათ, შაბათობით საზღვარგარეთ დარეკვა შესაძლებელია და პატიმრების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრებს უკავშირდება, მცირე ნაწილი კი იტალიასა და საბერძნეთში მყოფ „ქურდებს“ ეკონტაქტება.

ბევრი წვალება არ დაგვჭირვებია იმის გასაგებად, რომელი „კანონიერი ქურდი“ იმყოფება თურქეთში და რომელს ავალია ქართულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ე.წ. პალაჟენიის შენარჩუნება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის, მაგრამ ვერაფერს ცვლის — პატიმრებისთვის ციხის ტელეფონის გათიშვას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სერიოზული ხმაური მოჰყვება, თუმცა...

„ზონის მაყურებელი და „პალაჟენეცი“ გაკრიტეს. დღეს ხუთშაბათია, შაბათს „ქურდებს“ უნდა დავურეკოთ და ისინი გადაწყვეტენ, „პალაჟენეცი“ ვინ იქნება და მაყურებელსაც ისინი იტყვიან“, — რუსთავის №17 ზონაზე, მაყურებლების კამერაში ეს საუბარი 2013 წლის გაზაფხულზე შედგა. ნაციონალების დროიდან მოყოლებული, მაყურებელი და „პალაჟენეცი“ ახალმა ხელმძღვანელობამ გაკრიტა და ეგონა, ამით პრობლემა დაასრულა, მაგრამ ნურას უკაცრავად: პატიმრები „უთავოდ“ მხოლოდ 2 დღე იქნებოდნენ, შაბათს კი...

„შაბათს რომ ტელეფონი არ ჩართონ?!“ — იკითხა პატიმარმა №0578-მა.

„არის ეგ ვარიანტიც, ახალია „ნაჩალნიკი“, მაგრამ ავუხსნით, რომ აუცილებლად უნდა ჩართოს და თუ მაინც არ ჩართავს, საღამოს „პრავერკაზე“ არ შევალთ საკნებში და „შუმოკი“ ექნება კბილებში. ერთი კვირის მოსულ კაცს კიდევ „შუმოკს“ რომ მოუწყობ, ჩათვალე, „ლაფათქაზეა“. არ გარისკავს და ამას ხვალ ავუხსნით“, — დაამშვიდა №0578 ვაჟამ, რომელსაც ზონის მაყურებლობაზე პრეტენზია თავადაც ჰქონდა.

ახალი უფროსი ზონაზე გაჭიმული გადმოვიდა. ამაყად გადახედა პატიმრებს და მერე ის თქვა, ბევრს რომ გაეგო: „მორჩა მაყურებლობანა, ახლა მე ვარ ზონაზე მაყურებელიც და პალაჟენეციც“!

პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს და ვაჟა, დათო და კახა ციხის დირექტორისკენ დაიძრნენ. მიესალმნენ, მოიკითხეს, მერე კი ჩურჩულზე გადავიდნენ. ჯერ ვაჟა ლაპარაკობდა, მერე დათო და ბოლოს, კახამაც ამოიღო ხმა. „ნაჩალნიკს“ სახე ნელ-ნელა შეეცვალა, რაღაცები იკითხა და ცივად გაბრუნდა. „ბლატატამ“, სასწრაფოდ „სხადნიაკიო“, დაიძახა და ყველაზე დიდ კამერაში ლამის მთელი ზონა შეიკრიბა.

„ავუხსენით, რომ შაბათს თუ ტელეფონი არ გვექნება და ახალი მაყურებელი არ გვეყოლება, „შუმოკი“ მოეწყობა და მერე, ეგებ, ბუნტიც დაიწყოს. უარზეა, სპეცრაზმს შემოვიყვანო, მაგრამ გადარეკავს ახლა დეპარტამენტში და აუხსნიან, რომ ზონა მაყურებლების გარეშე არ და ვერ იარსებებს. თუ არადა, „შუმოკისთვის“ მზად იყავით, პრაგონს გავატარებთ“, — თქვა დათომ.

შაბათის დადგომას ყველა მოუთმენლად ელოდა. გათენდა და ათი საათიც გახდა, მაგრამ ზონის გაღებაზე არავინ ფიქრობდა. პატიმრები დაძაბულად ელოდნენ, რა მოხდებოდა. ფანჯრებიდან გამოჩნდა, როგორ გაატარეს ვაჟა, დათო და კახა ზონის ეზოში და ადმინისტრაციის კორპუსში გადაიყვანეს. ცოტა ხანში ბიჭები დაბრუნდნენ და ზონაც გაიღო. ტელეფონები ჩაირთო და „ბლატატა“ ერთ-ერთ ტელეფონთან შეიკრიბა. ვაჟა ქურდებს ესაუბრებოდა და ხუთ წუთში გაირკვა, ვინ „პალაჟენეცი“ იქნებოდა და ვინ მაყურებელი. ეს პატიმრების გამარჯვება იყო და...

***

„ვაჟა ქურდია, დათოც ქურდია, კახას აღარ უნდა, ცოლი მოიყვანა, ოჯახს პატრონობს“, — №0578-ს ციხის ყოფილი მეგობარი ესაუბრებოდა.

„როდის მონათლეს?!“ — იკითხა №0578-მა.

„დათო 2013-ში გავიდა და მაშინვე თურქეთში მოინათლა, ვაჟა 2014-ში. კახა რუსეთში იყო წასული, მოგვარებული ჰქონდა, მაგრამ თავად გადაიფიქრა. ახლა ზონაზე სიტუაციას დავითა აგვარებს, მაგას ურეკავენ ხოლმე ბიჭები. ვაჟა საბერძნეთშია და როგორც ამბობენ, ჯერ ვერაფერი ქნა ისეთი, დიდი ფული რომ ეშოვა. შენ რას შვრები, როგორ ხარ?!“ — ჰკითხა მეგობარმა №0578-ს.

„მე არც ქურდობა მინდოდა და არც „რამკებს“ ვამტვრევდი. ვმუშაობ და ვარ... და ისევ დარეკვები, ისევ მაყურებლები, „პალაჟენეცი“... როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, ხომ არ იცი?!“ — თავი გადააქნია №0578-მა.

„იცი, როგორ არის? იქ სხვა „რაზგონზე“ და „მატორზე“ ხარ. გარეთ ხვდები, რამხელა სისულელეა ყველაფერი, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამბობ. რა მაყურებელი და რა „პალაჟენეცი“, მაყუთის კეთებაზეა ყველა გადასული, მაგრამ ეგეცაა, მაყუთი რომ გაკეთებინონ, იერარქიის მაღალ საფეხურზე უნდა იყო. ამიტომ, უნდა გამოიარო ის „პალაჟენეცობაც“, მაყურებლობაც, რომ მერე სათქმელი გქონდეს, მაგიტომ იკლავენ თავს, თორემ შენც უყურებდი, როგორ იყო და შენს მერე სულ სასაცილო გახდა. უჭერს ეს კახიშვილი, რაც შეუძლია, რის საშუალებასაც კანონი აძლევს, მაგრამ ვერავინ მოუჭერს ისე, რომ მაყურებელი გააქროს. თან პატიმრებმა წერა ისწავლეს და ახლა მარტო სახალხო დამცველს კი არ წერენ, საელჩოებში გზავნიან წერილებს, იქეთ ნაცებს უგზავნიან და ისინიც ამბებს ტეხენ“, — უთხრა მეგობარმა.

***

„ძმას გაუმარჯოს. როგორ ხარ? დათო ვარ, თუ გახსოვარ...“ — №0578-ს თურქეთიდან დაურეკეს.

„როგორ არ მახსოვხარ და საქართველოს კანონის შესაბამისად, ვალდებული ვარ, გითხრა, რომ შენ უნდა ჩაბარდე ხელისუფლებას, რადგან „კანონიერი ქურდი“ ხარ და ეს ქართული კანონმდებლობით დასჯადია. ახლა გისმენ“, — უპასუხა №0578-მა.

„აუფ, რა ჩამოარაკრაკა... მომისმინე, მაგას არ გეკითხები, სხვა ქვეყნის მოქალაქეობას თუ მივიღებ, საქართველოსას ავტომატურად ვკარგავ, ხო?!“ — იკითხა დათომ.

„თუ არ ვცდები, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ასეა. და რად გინდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და ქართულზე უარის თქმა?!“

„იმიტომ, რომ თუ დამიჭერენ, საქართველოს მოქალაქე რომ აღარ ვიქნები, მანდ ექსტრადიცია აღარ მომიწევს და არ მახეხინებენ ქურდობისთვის ციხეს. აბა, არ მოიწყინო“, — თქვა დათომ, მაგრამ...

„მოიცა, კაცო, მეც უნდა გკითხო: ეს რუსთავის მეორე ზონა ქურდების სამჭედლო გამოდგა. რამდენი ხართ სახელით, მე ვისაც გიცნობდით?“ — ჰკითხა №0578-მა.

„შვიდი სული. ჰო, ისე გამოვიდა... კარგი თაობა იყო“, — გაეცინა დათოს.

„ახლა როგორი თაობა მოდის?!“

„ახლა მაგდენი არა, მაგრამ... 2-3 კაცი იქნება, ალბათ“, — თქვა დათომ და ტელეფონი გათიშა.

***

ასეა: რამდენიც უნდა ეცადოს ხელისუფლება, მომავალი „კანონიერი ქურდები“ ზონების ამჟამინდელი მაყურებლები და „პალაჟენეცები“ არიან.

ვერსიანიუსი

შს მინისტრის მოადგილე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს შეხვდა

შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს, საქართველოს საკითხზე თანამომხსენებლებს — ბორის ცილევიჩსა და შერსტინ ლუნდგრენს შეხვდა.

მინისტრის მოადგილემ სტუმრებს შს სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფომები გააცნო. საუბარი ასევე შეეხო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეხვედრაზე იმსჯელეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზეც.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ვიზიტის მიზანი ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგია.

„ვერსიანიუსი“



დაჭრილმა ქართველმა სამხედროებმა ბრიტანეთიდან საჩუქარი მიიღეს

დაჭრილმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს სახელით საჩუქარი მიიღეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მჯდომარე ფრენბურთისთვის განკუთვნილი სპორტული აღჭურვილობა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო ტერმინალში, დიდი ბრიტანეთის ახალშეძენილი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის ეკიპაჟმა ჩამოიტანა.

საჩუქარი დაჭრილ სამხედროებს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ნიკ უილკესმა გადასცა.

„მოხარული ვარ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ვიმყოფები, სადაც სამეფო საჰაერო ძალების ახალშეძენილი თვითმფრინავი დაფრინდა. ბორტმა ქართველ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების საჩუქარი ჩამოუტანა. ჩვენ დაჭრილ სამხედროებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ, რომელიც გასულ წელს „ძლიერთა თამაშებში“ მონაწილეობით დაიწყო. ძალიან მიხარია, რომ იმ აქტივობებში, რასაც ქართველი დაჭრილი სამხედროები აკეთებენ, პატარა წვლილი მეც მიმიძღვის. ჩვენი საჩუქარი მჯდომარე ფრენბურთისთვის განკუთვნილი სპორტული ინვენტარია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპეციალური დეპარტამენტი შექმნა, რომელიც არა მხოლოდ მათ რეაბილიტაციასა და გამოჯანმრთელებაზე ზრუნავს, არამედ მხარს უჭერს შეიარაღებულ ძალებში გააგრძელონ სამსახური და ყურადღება მიაქციონ ოჯახებს. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა და შეიარაღებული ძალები მიესალმება ამ წინგადადგმულ ნაბიჯს და მოხარულია, ქართულ მხარეს დახმარება გაუწიოს“, — აღნიშნა გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ნიკ უილკესმა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციითვე, ღონისძიებას დაესწრნენ გენერალური შტაბის უფროსის მაოდგილე პოლკოვნიკი ომარ ბეგოიძე, თავდაცვის უწყების წარმომადგენლები და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ასევე საქართველოში აკრედიტებული ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის ატაშეები.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო ტერმინალში დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების ახალშეძენილი თვითმფრინავის A400M Atlas პრეზენტაცია და მიღება გაიმართა. ღონისძიებაზე დაჭრილი ქართველი სამხედროების სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტოგამოფენაც მოეწყო.

„ინტერპრესნიუსი“

როგორ უნდა აღდგეს ნდობა ემიგრანტებსა და სახელმწიფოს შორის

გია ოკრიბელაშვილი: „გამიფორმონ პირდაპირი შესყიდვა და საბერძნეთში საქართველოს პასპორტებს უფასოდ ჩავიტან!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

11-დან 17 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოში რეგიონული დიასპორული კვირეული მეორედ იმართება. სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძემ, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნა, რომ წლევანდელი ღონისძიების მთავარი თემა ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარება იქნება. შესაბამისად, კვირეულის ფარგლებში, აქცენტი სწორედ დიასპორულ ინვესტიციებზე გაკეთდება. არასამთავრობო ორგანიზაცია „ემიგრანტები — დემოკრატიული საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა, საბერძნეთში მოღვაწე ბიზნესმენმა, გიორგი ოკრიბელაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ წლევანდელი ფორუმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქართული დიასპორის ეკონომიკაში ჩართულობასა და მათი საშუალებით, ინვესტიციების მოზიდვას ეძღვნება.

„ვერსიასთან“ საუბრისას **გია ოკრიბელაშვილმა** ისიც აღნიშნა, რომ 90-იანი წლებიდან, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ემიგრანტების სახით, საქართველოს სხვა ტიპის შრომითი მიგრანტები ჰყავს. ბევრი მათგანი ღირსეულად შრომობს და როგორც მინიმუმ, საქართველოში 2-3 ოჯახს ინახავს. წლების განმავლობაში, შრომითმა მიგრანტებმა შეძლეს და გარკვეული კაპიტალიც დააგროვეს, მაგრამ უმრავლესობამ არ იცის, საკუთარ ქვეყანაში ინვესტიცი, როგორ ან რა ფორმით უნდა განახორციელოს:

„დიასპორული ინვესტიციების განხორციელებისგან ჯერ ძალიან შორს ვართ, მაგრამ სახელმწიფომ უნდა აღიაროს, რომ ჩვენი ემიგრანტები დე ფაქტო ინვესტორები არიან. როდესაც ძალიან მაღალი დონის თანამდებობის პირები, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეკონომიკის მინისტრი ამბობენ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 12%, ფაქტობრივად, უცხოეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების საფუძველზე ფორმირდება, გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ხალხი რეალურ ინვესტიციას ახორციელებს. ოღონდ, ეს სოციალური ინვესტიციაა — ფულადი გზავნილებით ემიგრანტები კონკრეტულ ოჯახებს ეხმარებიან. ამ ფორუმს ბევრი საინტერესო სტუმარი ესწრებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ქართულ-ებრაული სავაჭრო პალატის თავმჯდომარის გამოსვლა მომეწონა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ემიგრანტებისგან სოციალური ინვესტიციის გარდა, სხვა სახის ინვესტიციების მიღებაც გვინდა, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და ემიგრანტს შორის ნდობა უნდა აღდგეს“.

გია ოკრიბელაშვილის განმარტებით, ემიგრანტებმა სახელმწიფოს მიმართ ნდობა იმიტომ დაკარგეს, რომ ყველა მთავრობამ, მათ შორის, შევარდნაძისა და სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, დიდი მოლოდინი შეუქმნა, თუმცა უშედეგოდ. შევარდნაძის პრეზიდენტობისას, საქართველოში ისრაელიდან ბევრი ემიგრანტი დაბრუნდა, ბიზნესიც ააწყო, მაგრამ როდესაც ადგილზე კორუფციას დაეჯახა, მიხვდა, რომ ტყუილად ჩამოვიდა. ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა კი პირდაპირ გამოაცხადეს, რომ საქართველოში ეკონომიკა ყვავის, ემიგრანტებმაც დაიჯერეს, ჩამოვიდნენ, მაგრამ ზოგს ბიზნესი ციხის გარეშე წაართვეს, ზოგიც დააპატიმრეს და წილები გადაიფორმეს:

„ნდობის დაბრუნება საკმაოდ ფაქიზი თემაა და მის აღდგენაში დიდი როლი აქვთ, როგორც საელჩოებს, ასევე სახელმწიფო მინისტრის აპარატს დიასპორის საკითხებში. დიასპორული ორგანიზაციებიც უნდა შეეცადონ, რომ ნდობა აღადგინონ და ეს საკუთარი მაგალითის საფუძველზე გააკეთონ. ჩვენი ორგანიზაციის პრეზიდენტი, გიორგი სვანიძე ჰოლანდიიდან ჩამოვიდა, რომელმაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ზეთისხილის პლანტაციები გააშენა და ქარხანასაც აშენებს, რაც ემიგრანტებისთვის ძალიან კარგი მაგალითია. ჩვენმა კომპანიამ სათავო ოფისი საბერძნეთიდან საქართველოში, კერძოდ, თბილისში გადმოიტანა. ჩვენი უცხოელი პარტნიორებიც აცხადებენ, ემიგრანტებმა მოგვაწოდონ იდეები, გვითხრან, რისი გაკეთება სურთ და მთავრობასთან ერთად, მათ იდეებს ჩვენც დავაფინანსებთო. სახელმწიფომ ისეთი მექანიზმები უნდა შექმნას, ემიგრანტებმა სახელმწიფო სტრუქტურებსა და კომერციულ ბანკებთან ურთიერთობა შეძლონ. მათი დიდი ნაწილი ბანკებთან შუამავლების, ძირითადად საქართველოში მყოფი ოჯახის წევრების საშუალებით ურთიერთობს. რატომ არ შეიძლება, ემიგრანტებს საშუალება მივცეთ, დანაზოგი პირდაპირ ბანკებში შეინახონ. „კაპიტალ ბანკს“ ჰქონდა იდეა, რომ თუ 50 ემიგრანტი შეიკრიბებოდა, მათი წარმომადგენელი საბერძნეთში ჩამოვიდოდა და ანგარიშებს გაუხსნიდა. თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ, 50-ს კი არა, 150 ემიგრანტს შევკრებ, ჩამოვიდნენ და გაუხსნან ამ ხალხს ანგარიშები! რატომ არ შეიძლება, სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში, ეროვნულმა ბანკმა, დასწიოს საპროცენტო განაკვეთები იმ დეპოზიტებზე, რომლებიც უშუალოდ, ემიგრანტების კუთვნილებაა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამით საქართველოში მილიარდები შემოვა, მაგრამ ემიგრანტი, რომელიც პირობითად, ერთი წლის მანძილზე, ბანკში ფულს შეინახავს და საკუთარ საბანკო ისტორიას შექმნის, სამომავლოდ, იგივე ბანკის საშუალებით, მცირე ან საშუალო ბიზნესსაც ადვილად წამოიწყებს. რომელი ნდობის აღდგენაზეა საუბარი, როდესაც საქართველოში პასპორტის აღება 100 ლარი ჯდება, საბერძნეთის საელჩოში კი, ემიგრანტმა პასპორტი რომ აიღოს, 105 ევრო უნდა გადაიხადოს. ვაცხადებ: ჩვენ გადამზიდავი კომპანია ვართ და თუ საბერძნეთში საქართველოს პასპორტის ფასს დასწევთ, სამ დღეში უფასოდ ჩავიტან. გამიფორმონ პირდაპირი შესყიდვა, რაც მთავარია, ამაში ერთ თეთრსაც არ ვითხოვ და გპირდებით, საქართველოს პასპორტებს უფასოდ ჩავიტან!“

გია ოკრიბელაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ თუ სახელმწიფო თავის თავზე აიღებს გარდაცვლილი ემიგრანტების საქართველოში გადმოსვენებას, ნდობის აღსადგენად ესეც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ასევე, კარგი იქნება, თუ მიკრობიზნესის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო გარკვეულ ფონდს შექმნის, რომლის საშუალებითაც, ემიგრანტები საკუთარი ბიზნესიდეების განხორციელებას შეძლებენ, მათი პარტნიორი კი სახელმწიფო იქნება. საბერძნეთის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის ოჯახში ქართველი ქალბატონები მუშაობენ, რომლებსაც დამსაქმებლებთან კარგი ურთიერთობა აქვთ. სომხეთისა და ისრაელის მაგალითების გათვალისწინებით, კარგი იქნება, თუ საქართველოსთვის სასიკეთო საქმეებში სახელმწიფო ამ ქალბატონების კავშირებს გამოიყენებს. საბერძნეთის ორ დიდ ქალაქში — ათენსა და სალონიკში, 100 000 ქართველი ცხოვრობს, რომელსაც ქართული პროდუქცია ენატრება. შესაბამისად, აუცილებელია ამ ქალაქებში ქართული მაღაზიები გაიხსნას, სადაც ემიგრანტები დასაქმდებიან.

ჩვენც დავბერდებით!

„აქამდე სახლში ალბათ მოვკვდებოდი!“

სპეციალური რეპორტაჟი ხანდაზმულთა პანსიონატიდან

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ახლახან, მსოფლიომ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე აღნიშნა. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, კიდევ ერთხელ ისაუბრეს მოხუცთა პრობლემებზე და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ ხანდაზმულებს განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვექცეთ, რადგან ჩვენც დავბერდებით და ამ ადამიანებისადმი დღეს გაღებული სითბო და სიკეთე, წლების მერე, ბუმერანგივით დაგვიბრუნდება!.. როგორ ცხოვრობენ მოხუცები საქართველოში, რა პრობლემები აქვთ, რა ახარებთ და აწუხებთ? — ამის გასარკვევად „ვერსია“ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს ესტუმრა, სადაც 75 მოხუცი ცხოვრობს და, მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულთა პანსიონატში მოხვედრის მთავარი კრიტერიუმი „სოციალურად დაუცველის“ სტატუსია, თავშესაფრის ბინადართა უმეტესობა მიუსაფარია არაა და ბევრს ოჯახიც აქვს...

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი 1965 წელს დაარსდა და თავიდან მხოლოდ პერსონალური პენსიონერებისთვის იყო განკუთვნილი — უზარმაზარ ტერიტორიაზე განთავსებულ დაწესებულებაში დასასვენებლად ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ. დღეს კი ვითარება, შეცვლილია...

პანსიონატის ხელმძღვანელის, **დარეჯან თომაძის** თქმით, ცდილობს, სამუშაო დღის დასაწყისში გაარკვიოს, თითოეულ მოხუცი თავს როგორ გრძნობს და მიიღო თუ არა ექიმის დანიშნულება... აქ მხოლოდ ერთადერთი ექიმი ჰყავთ. არადა, აშკარაა: ფსიქიატრის შტატი მაინც უნდა დაემატოს, რადგან როგორც აღმოჩნდა, მოხუცებს ფსიქიატრის კონსულტაცია ხშირად სჭირდებათ.

„თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი ჯანდაცვის სამინისტროს ტრეფიკინგის ფონდის ერთ-ერთი ფილიალია. აქ მოხუცები 65 წლიდან ირიცხებიან, მაგრამ რამდენიმე თვის წინ, მინისტრმა დებულებაში ცვლილება შეიტანა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს 60 წლიდანაც ვიღებთ. პანსიონატში ხანდაზმულთა ჩარიცხვა მხოლოდ სამინისტროს პრეროგატივაა და სურვილიც მქონდეს, ამა თუ იმ ადამიანმა ჩვენს დაწესებულებაში იცხოვროს, გადაწყვეტილებას მე არ ვიღებ. ჩვენთან მოსვლის მსურველებმა, საცხოვრებელი რაიონის მიხედვით, დახმარებისთვის სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა მიმართონ“, — განმარტავს დარეჯან თომაძე.

პანსიონატში 80 იზოლირებული ოთახია, ღია აივნითა და სველი წერტილებით. ყველა ბენეფიციარი ცალკე ცხოვრობს. დაწესებულებაში ისეთებიც არიან, ვინც ლოგინადაა ჩავარდნილი და პალიატიური მომსახურეობა ესაჭიროება. დარეჯან თომაძის თქმით, როცა ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკის მატებასთან ერთად, უარესდება, ფიქრადაც არ მოსდით, სხვაგან გადაიყვანონ, თუმცა ასე რომც იყოს, ალბათ, ვერსად გადაიყვანენ, რადგან პანსიონატის ხელმძღვანელის განმარტება, პალიატიური ინსტიტუცია მხოლოდ ტუბერკულოზიანი და ონკოპაციენტებისთვის არსებობს.

პირველადი საჭიროების პირობები პანსიონატში მოგვარებულია — ცხელი წყალიც აქვთ და გათბობაც. **„დაგვეხმარა ჯანდაცვის მინისტრი და თბილისის მერი. კანალიზაციის პრობლემა გვქონდა და ლოკალურად კი არ შეგვიკეთეს, მთელი გაყვანილობა გამოცვალეს. ძალიან მადლიერები ვართ სპონსორებისა და პაატა ბურჭულაძის ფონდ „იავნანასიც“** — პაატა ბურჭულაძემ რომ ნახა, თანხა მაკლდებოდა, ფილარმონიის ტრადიციულ მარათონთან ერთად, მარათონი პანსიონატშიც ჩაატარა და თანხა, რომელიც გათბობისთვის გვაკლდებოდა, ასე შეგვიგროვა. საქვაბის მონტაჟისთვის საჭირო თანხა მერიამ დაფარა. ცივი და ცხელი წყლის მილების გამოცვლა კი, ტრეფიკინგის ფონდმა დააფინანსა“, — აცხადებს დარეჯან თომაძე.

პანსიონატში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, სადაც ხანდაზმულები ხშირად იკრიბებიან ლიტერატურაზე, პოლიტიკასა თუ მუსიკაზე საუბრობენ...

64 წლის **ზაურ სამხარაძე** ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ბენეფიციარი და დაწესებულების სული და გულია. არ ამხელს, ეტლს როგორ მიეჯაჭვა, თუმცა ამბობს, ეტლი ხელს არ მიშლის, რეალიზებული რომ ვიყოო. ბატონმა ზაურმა ჯერ თავისი ხელით გაკეთებული ჯვარი მაჩუქა, მისი მადლი შეგეწიოსო, მერე კი, როცა ფანჯრებზე ამოყოლებულ ვაზს გავხედე, მაჩვენა, ზამთრისთვის რამდენი კომპოტი და მურაბა მოამზადა. მთელი ოთახი მისი ნახატებითა და ჯვრებითაა სავსე... **„პროფესიით ინჟინერი ვარ. პოლიციის ოპერმუშაკად ვმუშაობდი. ჯვრებს ვაკეთებ, ვხატავ... ეს ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ ოთახში მტვერი დგება ხოლმე და ხელმძღვანელი დამპირდა, სამუშაოდ ცალკე ოთახს გამოგიყოფო. მარტოხელას სტატუსი მაქვს, რადგან ცოლს გავშორდი. თავიდან ქუთაისის დაწესებულებაში მოვხვდი, მერე ბათუმისაში. ორი ვაჟი მყავს. ცოლი მირიგდებოდა, მაგრამ ჯენტლმენობა გამოვიჩინე და ვუთხარი, ჯანმრთელს არ მირიგდებოდი და ახლა მოგეკედლო-მეთქი?! აქაურობის ძალიან მადლობელი ვარ — აქამდე სახლში ალბათ მოვკვდებოდი. ექთანი დღეში 4-ჯერ შემოდის. 4-ჯერადი კვება გვაქვს. მომვლელი მირეცხავს თეფშებს, მეხმარება ხელის დაბანაში, საწოლის გასწორებაში... ვცდილობ, არ მოვდუნდე და ვიაქტიურო. მთელ ქალაქში დავდივარ და დღეში 8 კმ-ს გავდივარ... ვინც საღად აზროვნებს, ყველა იტყვის, რომ აქ ძალიან კარგია. თბილი წყალიც გვაქვს და გათბობაც. აქაურობა ჩემთვის სამოთხეა. მწოლიარეებს, თვე არ გავა, რამე არ მივუტანო. მიხარია, როცა მათთვის ხილს ან ღვეზელს ვყიდულობ“,** — ამბობს ზაურ სამხარაძე.

პანსიონატი სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა შეამოწმა და ახლახან დასკვნა გამოაქვეყნა. დარეჯან თომაძე აცხადებს, რომ ნებისმიერ მონიტორინგს მიესალმება და შენიშვნებსაც ითვალისწინებს. სახალხო დამცველს იმაშიც ეთანხმება, რომ პანსიონატი დასავლურ მოდელთან გათანაბრებული არაა: **„ინფრასტრუქტურა ბოლომდე მოწესრიგებული არ გვაქვს. ფასადებიც შესაცვლელია და ერთი ფლიგელიც გასაკეთებელი“.**

1.მსხვილი საჯარისო შენაერთი
2.უმაღლესი თანამდებობა ძვ. საბერძნეთში
3. მდინარე ყვარელში
4. აკრძალვა სახელმწიფო სამართალში
5. ცნობილი საბჭოთა ჯაშუში
6.ალკოჰოლური სასმელი
7. სოსოიას რუსის სახელი
8.კაცის ძველქართული სახელი
9.ძველი რომის იმპერატორი
10. ფრინველის ჰაერში ლიკლიკი
11. სამხ. აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი
12. მანძილის ერთეული ძვ.საქართ.
13.წითელყურძნიანი ვაზის ჯიში
13.„ჭირვეული“ თევ
14.კენტჩლიქოსანი ძუძუმწოვარი
15. სოფელი წალენჯიხის რაიონში
16.ძველბერძენი მეიგავე
17. ზამბახის მეორე სახელი
18.ნოეს უფროსი ვაჟი
19.დანის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი
20.დეკორატიული ფერწერის სახეობა
21.ყურე ხმელთაშუა ზღვაში
22. ამერიკული ავტომარკა
23. ოპერა „სევილიელი“
24.იგივეა, რაც მადა
25. იგივეა, რაც მინანქარი
26. ქალაქი იტალიაში
27. სოფელი ხაშურის რაიონში
28.ჩიტი - ძველ ქართულში
29.მხარე დასავლეთ საქართველ.
30.სიდიდით მეორე ქალაქი ესტონეთში
31. ალ. ბასილაიას მეტსახელი
32.თავდავიწყების მდინარე ბერძ.მით.
33.პერანგი ფართო გადახსნილი საყელოთი
34.კომპოზიტორის ნაწარმოები, აღნ. ნომრით
35. ქოქოსის კაკლის გული
36. ავსტრიელი პოეტი
37. სანელებელი მცენარე
38. თუში პოეტი ქალი
39. ზღვის დიდი კიბო
40.ძმები ხერხეულიძეების „რიცხვი“
41 ე. წ. „ოქროს კენკრა“
42. კაკლის საბერტყი ჯოხი
43.„მდოგვის გაზის“ მშობლიური ქალაქი
44. ამაზონის დელფინი
45. მუსიკ. გამის III ნოტი
46. მუხის ნაყოფი
47.დარტაიანის მსახური
48. შექსპირის მეფე
49.„იქ“ - ძველ ქართულში
50.ქვეყანა აზიაში
51.დორიან...
52. თაფლიანი ფიჭა
53.მცენარეული ცხიმი
54.დაავად. მოვლენათა დროებითი მესუსტება
55. ზომიერი ტემპი მუსიკაში
56.საქართველოს ვალუტა
57. სარწყავად გაჭრილი არხი
58.ნოტი „დო“-ს ძველი სახელწოდება
59. სიბრძნის ქალღმერთი, რომელიც დაიბადა ზევსის თავიდან
60.კოსოვოს დედაქალაქი
61.სამხ-ს ტელეპრემია
62. სასროლეთი
63. ცისფერი ნილოსის სახელწოდ.
64. ცხიმოვანი სიმსივნე
65. შიშველი სხეული ფერწერაში
66. მოუხარშავი ან შეუწვავი
67. აბჯრის ერთ-ერთი სახე

სათვალე ძილის მოყვარულთათვის



ახალი სათვალე, რომელიც იაპონელმა ინჟინერმა ჰიროტაკა ოსავამ შექმნა განსაკუთრებით იმ სტუდენტებს მოეწონებათ, ვისაც ხშირად სთვლემს ლექციებზე. მოწყობილობას, რომელსაც AgencyGlass უწოდეს, აქვს კამერა, გადამცემები, ორი OLED-დისპლეი, რომელიც ანიმაციურ თვალებს აჩვენებს. როცა ჩაძინებული ადამიანი თავს ჩამოაკანტურებს, თვალს ერთჯერ ახამხამებს, თავს თუ აქეთ-იქით აქნევს — რამდენიმეჯერ ახამხამებს. თუ მძინარეს თავი წინ ან უკან დაიხრება, არც ეს არის პრობლემა — სათვალის ვირტუალური თვალები (ანუ ადამიანის „მზერა“) მუდმივად მოსაუბრისკენ იქნება მიმართული. გარდა ამისა, AgencyGlass იმ ადამიანის მოძრაობასაც ადევნებს „თვალს“, რომელიც გელაპარაკებათ. საკუთარ ქმნილებას იაპონელი გამომგონებელი სერიოზულად არ მიიჩნევს, ამბობს, რომ ეს სათვალე მისი ერთ-ერთი სახუმარო ექსპერიმენტია.

შოკოლადი წამლად აქცევს

ამერიკულმა კომპანიამ Kuka Xoco მსოფლიოში პირველი, სამკურნალო შოკოლადი შექმნა. ის აქვეითებს არტერიულ წნევას და ხელს უწყობს სასარგებლო ქოლესტერინის ნორმალური დონის შენრჩუნებას. ახალი პროდუქტი ცხიმებისა და შაქრის მხოლოდ 35%-ს შეიცავს. ცნობილია, რომ სწორედ კაკაო შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ანტიოქსიდანტებსა და მინერალურ ნივთიერებებს. ის, რა თქმა უნდა, სხვა შოკოლადშიც არის, მაგრამ ინგრედიენტების პოზიტიური ეფექტი ნულამდე ჩამოდის ცხიმებისა და შაქრის მაღალი კონცენტრაციის გამო.

განქორწინება იტალიურად

84 წლის იტალიელი ქალბატონი ქმარს იმის გამო შორდება, რომ არ აქვთ სექსუალური ურთიერთობა. პენსიონერი ქალბატონისთვის ეს უკვე მესამე ქორწინებაა, ყოფილი ორი ქმარი გარდაცვლილი ჰყავს. მან სასამართლოში საჩივარი შეიტანა და მიზეზად მიუთითა, რომ მისი მეორე ნახევარი არ ასრულებს მეუღლის მოვალეობას. მოხუცმა ქალბატონმა ადვოკატიც აიყვანა, რომელიც მის გადარწმუნებას ყველა ხერხით შეეცადა და განცხადების გამოტანას ურჩევდა, მაგრამ სექსის ნაკლებობა იმდენად არ აწყობს მოხუცს, რომ უკან დახევას არ აპირებს. იგი დარწმუნებულია, რომ ქმარმა პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატები უნდა მიიღოს, თუ არადა, მიატოვებს და ახალგაზრდა საყვარელს გაიჩენს.

სუდოკუმანია

ადვილი

	8				6	2	5	
			1		8		4	
		9		5			8	
		2						1
	6	1		8		4	3	
4						9		
	9			6		5		
	1		3		5			
	7	6	2				9	

სტანდარტი

8		2		1		3		
	6					1		
4		1				9	2	
			1		8			
			5	3	7			
			4		2			
	5	8				6		9
		7					8	
		6		7		4		1

რთული

							3	
	7			1	6	4		
		2	5		9	1		
9			6			8	4	
2			1		4			3
	4	7			3			6
		9	8		5	6		
		8	4	9			7	
	1							

ექსპერტი

8	3			6		4		
							7	
5	9			7	1		6	
7					8			
			9	5	7			
			1					2
	7		6	3			9	4
	5							
		2		1			3	8

სვიტერი-ქამელეონი განწყობას აფიქსირებს

ამერიკელმა დიზაინერებმა მაღალი ტექნოლოგიები ტანსაცმელშიც გამოიყენეს და სვიტერი შექმნეს, რომლის საყელოც, პატრონის განწყობის მიხედვით, ფერს დღეში რამდენჯერმე იცვლის. ახალი პროდუქცია სან-ფრანცისკოში მდებარე კომპანიაში Sensoree შეიქმნა. საყელოს ფერი მაშინ იცვლება, როდესაც სპეციალური სენსორები აფიქსირებს, რომ მომხმარებლის განწყობა შეიცვალა. მაგალითად, თუ ის მწვანე ფერს იღებს, ესე იგი, სვიტერის პატრონი მშვიდადაა, თუ იისფერი შეფერილობა მიიღო — ცოტა აღელვებულია, წითელი ფერი კი მიანიშნებს, რომ ადამიანი საკმაოდ ნერვიულობს, ან ის პიროვნება დაინახა, რომელიც უყვარს. თუ საყელო ყვითელი გახდა — ეს პატრონის ალტაცებაზე, აღფრთოვანებაზე მიუთითებს. როგორც ირკვევა, ამ მაღალტექნოლოგიურ სვიტერს შეძენის საკმაოდ ბევრი მსურველი გამოუჩნდა, თუმცა, ჯერჯერობით, მასობრივ გაყიდვაში არ არის და არც მისი ფასია ცნობილი.

ღვინის კიდევ ერთი სასარგებლო თვისება აღმოაჩინეს

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ წითელი ღვინო შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ორგანიზმს ეხმარება, დაძლიოს არასაკმარისი ფიზიკური აქტივობისგან გამოწვეული პრობლემები. ნაკლებად მოძრაობის უარყოფითი გავლენა არა მხოლოდ კუნთებზე მოქმედებს, არამედ შინაგან ორგანოებსა და სისტემაზე — ძვალ-სახსრებზე, მეტაბოლიზმზე, სასუნთქ სისტემაზე, სისხლის მიმოქცევასა და ნერვულ სისტემაზეც აისახება. ღვინო, რასაკვირველია, ვერ ცვლის მოძრაობასა და ფიზიკურ ვარჯიშს, მაგრამ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს სასმელი აფერხებს იმ დამანგრეველ პროცესს, რასაც ჰიპოდინამია, მაგალითად, მჯდომარე სამუშაო იწვევს. მღრღნელებზე ჩატარებული ცდებისას, ცხოველებს საკვებში რესვერატროლს უმატებდნენ, რომელსაც წითელი ღვინო შეიცავს. აღმოჩნდა, რომ ეს ანტიოქსიდანტი, უმოძრაობის პირობებში, ახერხებს ორგანიზმის დაცვას. მათ, ვინც დღის განმავლობაში ნაკლებად მოძრაობს, სწავლულები ურჩევენ, რესვერატროლით მდიდარი პროდუქტი მიირთვან.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	2	7	4	3	6	5	1	8
4	5	8	2	7	1	6	3	9
1	6	3	5	9	8	7	2	4
3	4	6	1	5	2	9	8	7
2	1	9	8	6	7	4	5	3
7	8	5	3	4	9	2	6	1
6	3	4	9	8	5	1	7	2
8	7	2	6	1	4	3	9	5
5	9	1	7	2	3	8	4	6

სტანდარტი

7	5	6	4	9	3	2	1	8
4	3	1	2	8	7	9	6	5
2	9	8	1	6	5	4	3	7
1	7	2	6	3	9	8	5	4
5	8	4	7	2	1	6	9	3
3	6	9	8	5	4	1	7	2
9	4	7	5	1	2	3	8	6
8	2	3	9	7	6	5	4	1
6	1	5	3	4	8	7	2	9

რთული

5	3	6	8	4	2	1	9	7
1	9	2	7	6	5	8	4	3
8	7	4	1	9	3	5	6	2
7	5	3	2	1	9	6	8	4
6	4	1	5	3	8	2	7	9
2	8	9	6	7	4	3	1	5
4	6	5	9	2	1	7	3	8
3	1	8	4	5	7	9	2	6
9	2	7	3	8	6	4	5	1

ექსპერტი

7	3	2	6	1	8	5	4	9
6	5	9	2	4	3	1	8	7
4	1	8	9	7	5	6	3	2
8	2	3	4	6	9	7	1	5
1	9	7	3	5	2	8	6	4
5	6	4	1	8	7	9	2	3
2	7	1	5	3	6	4	9	8
3	8	6	7	9	4	2	5	1
9	4	5	8	2	1	3	7	6

ადვილი

6	9	4	2	1	3	7	8	5
5	2	8	7	6	4	3	1	9
3	7	1	9	8	5	6	2	4
1	5	3	8	9	7	4	6	2
9	4	2	6	3	1	8	5	7
8	6	7	5	4	2	1	9	3
7	8	9	4	2	6	5	3	1
4	3	6	1	5	9	2	7	8
2	1	5	3	7	8	9	4	6

სტანდარტი

8	5	9	7	3	6	4	2	1
4	3	2	1	9	8	7	6	5
6	1	7	5	2	4	3	9	8
7	4	3	6	5	2	1	8	9
2	9	1	8	4	7	5	3	6
5	8	6	9	1	3	2	4	7
3	6	8	4	7	5	9	1	2
1	2	5	3	8	9	6	7	4
9	7	4	2	6	1	8	5	3

რთული

8	5	9	3	6	2	1	7	4
7	6	4	1	9	8	5	3	2
1	3	2	7	5	4	9	8	6
6	2	7	9	4	5	8	1	3
4	8	5	6	3	1	2	9	7
9	1	3	2	8	7	6	4	5
5	9	1	4	2	3	7	6	8
3	7	8	5	1	6	4	2	9
2	4	6	8	7	9	3	5	1

ექსპერტი

4	6	9	7	8	5	2	3	1
5	2	1	3	6	9	8	7	4
8	3	7	4	2	1	9	6	5
3	1	8	2	9	7	5	4	6
6	9	5	1	4	3	7	2	8
7	4	2	8	5	6	3	1	9
2	8	6	5	7	4	1	9	3
1	7	4	9	3	8	6	5	2
9	5	3	6	1	2	4	8	7

მე-10 გვერდი: 1. მთვარის; 2. კოროზია; 3. მექა; 4. ვიადუკი; 5. რიონი; 6. სეიმი; 7. კოკორი; 8. რონინი; 9. ზვარი; 10. ადიტი; 11. ოქტაგონი; 12. კოტილიონი; 13. მსგეფსი; 14. სიონი; 15. სკანდალი; 16. ინგა; 17. ცვედანი; 18. პიკი; 19. აიაჩო; 20. კუმისი; 21. სკოლა; 22. „სიტროენი“; 23. პრინციპი' 24. ვინი; 25. აკნე; 26. ალი; 27. კუსტო; 28. მაატი; 29. რძალი; 30. ტიგროსი; 31. ნინია; 32. კაპელა; 33. სეგედი; 34. დრამა; 35. კიტო; 36. ლიფსიტა; 37. ზიზია; 38. ძაუ; 39. ტერფი; 40. უემბლი; 41. იასი; 42. სიო; 43. პაგოდა; 44. ნატანები; 45. გონიო; 46. რიზე; 47. იანი; 48. დელი; 49. მილეტი; 50. გორა; 51. ონო; 52. იზმირი; 53. ბაო; 54. ტემზა; 55. აკიდო; 56. დო; 57. ზუა; 58. მინდაო; 59. ოლდ; 60. ადა; 61. ფრიდონ; 62. ადონაი; 63. ნო; 64. ლასო; 65. აიეტი.

მე-12 გვერდი: 1. „ბახტრიონი“; 2. ემინემი; 3. ბაცილა; 4. ხალისი; 5. რუპორი; 6. მაყვალი; 7. ნინევია; 8. მალა; 9. ინცესტი; 10. ექოლოტი; 11. პალაცო; 12. ყინული; 13. ექვთიმე; 14. აზგარდი; 15. ზაქი; 16. რასელი; 17. არვე; 18. ნაქი; 19. იგრიკა; 20. აკინი; 21. ვატი; 22. ჟელე; 23. აბაი; 24. თმა; 25. ევლოგია; 26. რადამესი; 27. სინგლი; 28. ჟიზელ ბიუნდხენი; 29. ლათინური 30. დომბა; 31. კიი; 32. კეცი; 33. „ტეტრისი“; 34. ზეთი; 35. კლეე; 37. ფრე; 38. იაკინთე; 39. ლანგეტი; 40. არმატურა; 41. იაგდტაში; 42. დანი; 43. ომონია; 44. ენგური; 45. ციცარი; 46. ზღვა; 47. რარიტეტი; 48. ლამბერტი; 49. სოს; 50. ციება; 51. არესი; 52. ოინი; 53. გუი; 54. რეა; 55. დიალოგი; 56. სირდარია; 57. გუნო; 58. გადია; 59. პრასი; 60. ტრირი; 61. ბიოლი; 62. ატილა; 63. აზუა; 64. ილი; 65. ბადრაგი; 66. სულგუნი; 67. ხიდი; 68. ირი; 69. რტო; 70. ნიტრატი; 71. არია; 72. ორე; 73. სირი; 74. იაბო; 75. ტერ; 76. ლუი; 77. ბია; 78. რაჯა; 79. ურანი; 80. ასი; 81. ვრიგლი; 82. შრი; 83. ლარვა.



1. რიცხვის გრაფიკული ნიშანი
2. ხემცენარე არომატული ყვავილებით
3. აკრობატიკა თხილამურებით
4. პრომეთეს მამა
5. ჩრდილო-ამერიკული მურა დათვი
6. სატანვარ-ჯიშო კედელი, იგივე შვედური კედელი
7. ერევნის აეროპორტი
8. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
9. წამების ხერხი შუა საუკუნეების ევროპაში
10. ინგლისის ტახტის მემკვიდრის ტიტული
11. შეწეული სტრიქონი ტექსტში
12. კოლხეთის სახელწოდება ანტიკურ ლიტერატურაში
13. ტკბილი კარტოფილი
14. №2 საბჭოთა კოსმონავტი
15. ჰერაკლეს მიერ დამარცხებული გმირი
16. შიშველი სხეული ფერწერაში
17. თურქეთის ფულის ერთეული
18. მსხვილი ადმინისტრ. ტერიტ. ერთეული მონღოლ.
19. საგნის მონახაზი, კონტური
20. მწერალი ... ჩიანელი
21. გამოუწვავი აგური
22. კლავიშიანი სასულე მუსიკალური საკრავი
23. მონღოლეთის ფულის ერთეული
24. პატარა ჩანთოსანი დათვი
25. მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა ადამიანში
26. სოფლური ქოხი შვეიცარიაში
27. სიგრძის ერთეული ზღვაოსნობაში
28. ფრანგი კინოვარსკვლავი
29. ბალახოვანი მცენარე ნივრის სუნით
30. ანა კარენინას სატრფო
31. ფედერიკო ფელინის ფილმი
32. ჭიანჭველას ძმობილი
33. მექსიკის უმაღლესი მწვერვალი
34. რუსული როკ-ჯგუფი
35. დეკორატიული ყვავილი
36. ჩქარი ტემპი მუსიკაში
37. იგივეა, რაც პაემანი
38. ღამის ფიზიოლოგიური მდგომარეობა
39. საჭირისი ვეზირი „სიბრძნესიცრუისაში“
40. გეომეტრიული ცნება
41. პარფიუმერული სითხე
42. მწერალ ბალზაკის სახელი
43. ლეგენდარული ფრანგი ავტომრბოლელი
44. უკიროდ ნაგები ქვის კედელი
45. თვალის ფერადი გარსის ანთება
46. საოჯახო თამაში
47. ცნობილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტთან
48. სპირტში გახსნილი ფისი
49. სოფიკო ჭიაურელის კონცერტი „ლუთისოფელში“
50. ფუტკრის სახლი
51. გველის სმიანობა
52. პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
53. სპილ-ბერგის უცხოპლანეტელი
54. ამერიკელი კინორეჟისორი ვუდი ...
55. სამთო-სათხილამურო კურ. ბორჯომის რ-ში
56. ბარონ მიუნჰაუზენის ლიტერატ. „მამა“
57. „ხელის ჭუჭყი“
58. „შავი“ კონტინენტი
59. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
60. დიდი ნახატი კედელზე
61. ჭადრაკის ფიგურა
62. უეცრად, უმალ
63. სურნელოვანი მწვანილი
64. საფქვილე ყუთი წისქვილში
65. ავსტრალიის უგრძესი მდინარე
66. ისტორიის მუზა
67. ხუთის მომდევნო რიცხვი
68. მომთაბარე ბოშათა ჯგუფი
69. იგივეა, რაც ერი
70. მეტყვ. ნაწილი ქართულ გრამატიკაში
71. ტროპიკული ხილი
72. ინერტული აირი
73. პუშკინის გადია
74. ბადმინტონის სათამაშო ბურთი
75. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი
76. სპეც. წესით ამოყვანილი ცხვრის ყველი
77. მხარზე გადასაკიდი ჩანთა
78. VI ნოტი
79. ჟორჟ სიმენონის კომისარი
80. ევროს წინამორბედი
81. ცისკარას სატრფო
82. რობერტ ბარძიმაშვილის პირველი ანსამბლი
83. პარკოსანი მცენარე
84. ათოსის მსახური
85. თქმულება, ლეგენდა სკანდინავიაში

ვიტამინები სიზმრებს უფრო ცხადს ხდის

სწავლულები „მწვანე კონტინენტიდან“ ამტკიცებენ, რომ ძილის წინ ვიტამინების მიღება ადამიანს სიზმრების „HD-ფორმატში“ ნახვის საშუალებას აძლევს. მკვლევარები შეეცადნენ ამ მხრივ „ბე6“-ვიტამინის გავლენა შეესწავლათ სიზმარზე, კონკრეტულად კი, მის სიცხადეზე. ექსპერიმენტში 12 მოხალისე მონაწილეობდა. მათგან 6 ძილის წინ „ბე6“-ვიტამინს იღებდა, დანარჩენი 6 კი — ცარიელ კაფსულას. გაღვიძების შემდეგ კვლევის მონაწილეები საკუთარ სიზმრებსა და შთაბეჭდილებებს ყვებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც ძილის წინ ვიტამინს სვამდა, უფრო ცხადად ხედავდა სიზმარს. ავსტრალიელი სწავლულები აპირებენ, საკუთარი დასკვნების გასამყარებლად, ექსპერიმენტი უახლოეს მომავალში გაიმეორონ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.